ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

1 ნოემბერი, 2018 ხუთშაბათი, №9 (2224)

FRANKFURTER BUCHMESSE

თსუ ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფრანკფურტის წიგნის გაზრობაზე, რომელიც 10-14 ოქტომბერს გაიმართა, მასშტაბური პროგრამით წარსდგა.

პროგრამა მოიცავდა როგორც სამეცნიერო და საგანმანათლებლო ლიტერატურის გამოფენებს, ასევე ქართველი და უცხოელი მეცნიერების საჯარო ლექციებს. პროგრამის მიზანი იყო სრულად წარმოეჩინა საუკუნეების განმავლობაში საქართველოში შექმნილი სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიღწევები.

გაზრობის ფარგლებში გამოიფინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული წიგნები და სპეციალურად ფრანკფურტის წიგნის გაზრობისთვის დაბეჭდილი სამეცნიერო ლიტერატურა. მათ შორის იყო პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისა და უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემული წიგნები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე 50-ზე მეტი სამეცნიერო წიგნი, თარგმანი და სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო პერიოდული ჟურნალი გამოფინა. პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რუსთველოლოგიას, როგორც ქართველოლოგიის დარგის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას. აქცენტი გაკეთდა მრავალწლიანი გერმანულ-ქართული სამეცნიერო თანამშრომლობის მიღწევებზე.

გვ. 7-10

ნომერში

- ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრი თსუ-ში — გვ. 2
- აკადემიურ საბჭოს ახალი წევრები შეემატა — გვ. 3
- ახალი სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის — გვ. 4
- გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში — გვ. 5
- რა მიზნები აქვს ახლად შექმნილ ქართველ-რუმინელ ისტორიკოსთა კომისიას

გვ. 4

- მედეა: ქალურობა, დედობა, სიყვარული და მრისხანება — გვ. 6
- ონკოლოგიური უროლოგიის საერთაშორისო კონგრესი — გვ. 6
- საერთაშორისო კონფერენცია – „გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები“ — გვ. 11
- საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი თსუ-სა და აკადემიაში — გვ. 12
- ქართველოლოგიური კერები თურქეთში — გვ. 13
- „წრე ლისზე - ოკუპაციური თერაპიის მხარდასაჭერად“ — გვ. 15
- იურისტების ყველა თაობა „კაკოს ეპოქას“ იხსენებს — გვ. 15
- გეოლოგების ექსპედიცია მდინარე დურუჯის ხეობის შესასწავლად

გვ. 12

ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრი თსუ-ში

ნატო ობოლაძე

ამავკასიის რეგიონში ვატიკანის დიპლომატიისა და მშვიდობის საკითხებზე ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრმა არქიეპისკოპოსმა პოლ რიჩარდ გალაჰერმა თსუ-ში კონფერენცია გამართა. არქიეპისკოპოსმა ყურადღება გაამახვილა 2008 წლის სამხედრო მოქმედებებზე და აღნიშნა, რომ რუსეთს არ შეუსრულებია გაეროს არც ერთი რეზოლუცია და რომ ტერიტორიული პრობლემები საერთაშორისო სამართლის ნორმებით უნდა გადაწყდეს. კონფერენციაზე „წმინდა საყდრის დიპლომატიური ჩართულობა კავკასიაში მშვიდობისა და ადამიანის ღირსების ხელშეწყობის მიზნით“, წმინდა საყდრის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისაუბრა ვატიკანის საერთაშორისო ურთიერთობებზე და აღნიშნა, რომ „წმინდა საყდარი მხარს უჭერს ისეთ დიპლომატიას, რომელიც ადამიანებს შორის სოლიდარობას ამყარებს“. ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრმა თსუ-ის სტუდენტების კითხვებს უპასუხა, რომელიც ადამიანის უფლებებს, საემიგრაციო პოლიტიკას, ტრეფიკინგს, ძალდატანებით ქორწინებასა და ეთნოკონფლიქტების მოგვარების საქმეში რელიგიის როლს ეხებოდა.

„საქართველოში ხელისუფლებისა და ადგილობრივი კათოლიკური საზოგადოების მოწვევით ჩამოვედი. როგორც კონფერენციაზე გამოსვლისას აღვნიშნე, ჩვენ უფრო მეტად უნდა გავაღრმავოთ ურთიერთობები, გავცვალოთ ინფორმაციები და მოსაზრებები. მსოფლიოში არსებობს უამრავი კონფლიქტი, პრობლემა ადამიანებსა, გარკვეულ ჯგუფებსა და კულტურებს შორის. ჩვენ ხელს ვუწყობთ კონფლიქტების მოსაგვარებლად დიალოგების გამართვას, ვუბიძგებთ ადამიანებს, რომ გაბედულად გამოიჩინონ ინიციატივები. საქართველოში მძიმე ვითარება იყო, ქვეყანას კი წინსვლა სურდა, ნათელი მომავლის შექმნა თავისი ხალხისა და მომავალი თაობისთვის. ჩვენი მხარდაჭერა კიდევ უფრო გაგრძელდება“, — განაცხადა არქიეპისკოპოსმა.

ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოსა და წმიდა საყდრისის ურთიერთობები ისტორიულ კონტექსტშიც მიმოიხილა. პოლ რიჩარდ გალაჰერმა ხაზი გაუსვა, რომ „თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ცნობილი ქიმიკოსი, ქართველი კათოლიკე პეტრე მელიქიშვილი, რომელიც ამ უნივერსიტეტის პირველ რექტორად აირჩიეს, დასტურია იმისა, თუ რა როლი ითამაშეს ქართველმა კათოლიკეებმა საქართველოს ისტორიაში“. მისივე თქმით, ვატიკანი ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა და აქ დიპლომატიური სამსახური გამოგზავნა.

თსუ-ის რექტორის მოადგილემ ალექსანდრე ცისკარიძემ ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრის პოლ რიჩარდ გალაჰერის ვიზიტი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეაფასა.

„მსოფლიოს კულტურულ, ჰუმანიტარულ, ასევე პოლიტიკურ ცხოვრებაშიც ვატიკანი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მისი საქართველოში ჩამოსვლა წმინდა საყდრის მიერ საქართველოს მხარდაჭერას ნიშნავს. შეხვედრა საინტერესო წარიმართა. ლექცია, რომელიც არქიეპისკოპოსმა წაიკითხა, შეეხებოდა ჰუმანიტარულ და ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს. მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ აღნიშნული საკითხები ვატიკანისთვის პრიორიტეტულია. ვფიქრობ, მისი ვიზიტი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ. თსუ-ის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებული შეხვედრების ციკლი გრძელდება“, — განაცხადა ალექსანდრე ცისკარიძემ.

კონფერენციას წმინდა საყდრის ნუნცია საქართველოში ჟოზე აველინო ბეტანკური, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, სხვადასხვა კონფესიების, რელიგიათა საბჭოს, საპატრიარქოს, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

პოლ რიჩარდ გალაჰერი, ჰოდელმის ტიტულარული არქიეპისკოპოსი, წმინდა საყდრის საგარეო საქმეთა მინისტრი 1954 წლის 23 იანვარს დაიბადა. იგი მღვდლად 1977 წლის 31 ივლისს აკურთხეს. მან ასპირანტურა საერთაშორისო დიპლომატიის განხრით რომის პონტიფიკურ აკადემიაში დაამთავრა, ხოლო მოგვიანებით გრეგორიანული პონტიფიკური უნივერსიტეტიდან კანონიკურ სამართალში დოქტორის ხარისხი მიენიჭა. 1984 წელს მან წმინდა საყდრის დიპლომატიურ სამსახურში დაიწყო მუშაობა და აპოსტოლურ ნუნციად მსახურობდა ტანზანიაში, ურუგვაისა და ფილიპინებში, ასევე მსახურობდა ვატიკანის სამდივნოს სახელმწიფოებთან ურთიერთობების სექციაში და ევროპის საბჭოში (სტრასბურგი) მუდმივ დამკვირვებლად. იგი დაინიშნა აპოსტოლურ ნუნციად ბურუნდიში (2004 წ.), შემდეგ გვატემალაში (2009 წ.) და ავსტრალიაში (2012 წ.). 2014 წელს რომის პაპმა, ფრანცისკემ პოლ რიჩარდ გალაჰერი წმინდა საყდრის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა.

ოფიციალური გვერდი

დადგენილება №210/2018 17.10.2018

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-10 მუხლის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 ოქტომბრის №23 სხდომის ოქმის საფუძველზე,

ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო ა დ გ ე ნ ს:

1. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა უფლებამოსილების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, დაინიშნოს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევნები 2018 წლის 16 ნოემბერს.

2. სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 16 ნოემბრის არჩევნების დადგენილ ვადებში, მოქმედ კანონმდებლობასა და შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში ჩატარება დაევალოს საარჩევნო კომისიას, რომელიც განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

3. საარჩევნო კომისიამ წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევნების ჩატარებისას იხელმძღვანელოს მოქმედი ნორმატიული და უნივერსიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის №127/2013 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის №7 სხდომის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა არჩევის წესით“.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2018 წლის 3 ნოემბერს და დასრულდეს 2018 წლის 9 ნოემბერს.

5. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს 10:00 საათიდან 18:00 საათამდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, ოთახი №114.

6. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

7. ინფორმაციის უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ გამოქვეყნების უზრუნველყოფა დაევალოს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორს ნინო კაკულიას.

8. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

9. დადგენილების შესასრულებლად გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

10. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით — გამოქვეყნებისთანავე.

11. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ნუნუ ოვსიანიკოვას.

12. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

გიორგი შარვაშიძე,
რექტორი,
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

აკადემიურ საბჭოს ახალი წევრები შეემატა

ნატო ობოლაძე

24 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს არჩევნები გაიმართა. ფაკულტეტებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წარმომადგენელთა ვაკანსიების შევსების მიზნით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან შეირჩა 2 წევრი — დავით გოცირიძე და რამაზ ქურდაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან 1 წევრი — მარი წერეთელი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტიდან 1 წევრი — რუსუდან სანაძე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან 1 წევრი — თემურ შენგელია, მედიცინის ფაკულტეტიდან 2 წევრი — პაატა იმნაძე და ნინო ოკრიბელაშვილი, იურიდიული ფაკულტეტიდან 1 წევრი — ირმა ხარშილაძე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან 1 წევრი — გიორგი ღვედაშვილი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან 1 წევრი — თამარ ვაშაკიძე.

■ დავით გოცირიძე

დავით გოცირიძე 2009 წლიდან დღემდე გახლავთ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი. 2006-2009 წლებში იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ზოგადი ენათმეცნიერების მიმართულების ხელმძღვანელი და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. 1987-2006 წლებში — თსუ-ის რუსული ენის კათედრის გამგე და სადისერტაციო საბჭოს წევრი. 1987 წელს გახდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. დისერტაცია დაიცვა თემაზე: „ფრაზული ტექსტის ტიპოლოგიური ინტერპრეტაციის პრინციპები“. მისი სალექციო კურსების ჩამონათვალია — გამოყენებითი რუსისტიკა (სასწავლო კურსის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის პრინციპები), ტექსტის ლინგვისტიკა, ენისა და კულტურის სემიოტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, თარგმანის თეორია, თარგმანის ისტორია, ტექსტი და თარგმანი, თანამედროვე მანქანური თარგმანი, თანამედროვე ლინგვისტური კვლევის მეთოდოლოგია, ლინგვისტური კოდი კომპიუტერულ კომუნიკაციაში, კოგნიტური ლინგვისტიკა და რუსული ენის ფუნქციონალური გრამატიკა. მიწვეული პროფესორის სტატუსით სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა ფლორენციის, საარბრიუკენის, მერილენდის, იენის, გოტლანდის, ამსტერდამის, სანქტ-პეტერბურგის და ბაქოს უნივერსიტეტებში. დავით გოცირიძე 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია და მონაწილეობა აქვს მიღებული 150-ზე მეტ საერთაშორისო და რეგიონალურ კონფერენციაში.

■ რამაზ ქურდაძე

რამაზ ქურდაძე 2009 წლიდან დღემდე თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორია. 2012 და 2016 წელს ლექციებს კითხულობდა ჰოლანდიის ლეიდენის უნივერსიტეტში, სადაც გახლდათ მიწვეული პროფესორის სტატუსით. როგორც მკვლევარი, 2011, 2012 და 2013 წლებში მიწვეული იყო „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ ფაკულტეტის განვითარების მხარდაჭერის პროგრამით ამერიკის შეერთებული შტატების დარტმუთის კოლეჯში. 2007-2008 წლებში ლექტორის სტატუსით მიწვეული იყო ფულბრაიტის პროგრამით, კითხულობდა ლექციებს ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტონი ბრუკში. 2006 წლიდან დღემდე თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრია. 2006-2010 წლებში იყო თსუ-ის სენატის წევრი, ხოლო 2010-2016 წლებში — თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრი. რამაზ ქურდაძე 2014 წლიდან დღემდე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტია. 2003-2004 წლებში იყო „ღია საზოგადოება საქართველოს“ გენდერული კომისიის ექსპერტი.

■ მარი წერეთელი

მარი წერეთელი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორია. მისი კვლევითი ინტერესებია XIX-XX საუკუნეების ქართული ჟურნალისტიკა, მედიატექსტის ინტერპრეტაცია, ჟურნალისტიკის კომპარატივისტული კვლევა, ევროპეიზმი და ქართული ჟურნალისტიკა.

გამოქვეყნებული აქვს 45-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ქართულ თუ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. მარი წერეთელი მონაწილეობდა არაერთ მნიშვნელოვან საგრანტო პროექტში, მაგალითად, ,,1918-1921 წლების პლურალისტური მედიის ძირითადი სტრატეგიები“. ამჟამად მკვლევართა ჯგუფთან ერთად პროექტ „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის“ ფარგლებში გამოსაცემად ამზადებს წიგნს — „მასალები ილია ჭავჭავაძის ენციკლოპედიისათვის“. ასევე, თითქმის დასრულებულია თანაავტორობით დაწერილი ონლაინ სახელმძღვანელო ,,ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“.

თსუ-ში ლექციებს კითხულობს 1996 წლიდან, ამჟამად უძღვება სალექციო და პრაქტიკულ კურსებს: „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“, „ანალიზისა და მოსაზრების წერა“, ,,სტრატეგიული წერა ჟურნალისტიკაში“, „თანამედროვე ქართული მედიის კრიტიკული ანალიზი“. არის საბაკალავრო პროგრამა ,,ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის“ და სამაგისტრო პროგრამა ,,მასობრივი კომუნიკაცია და მედიის კვლევების“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

2008 წლიდან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრია, ხოლო 2010 წლიდან დღემდე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრი.

■ რუსუდან სანაძე

რუსუდან სანაძე 2012 წლიდან დღემდე თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორია. 2003-2006 წლებში იყო თსუ-ის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) პედაგოგიკის კათედრის ასპირანტი/დოქტორანტი. 2007-2008 წლებში მოიპოვა კრისტიან-ალბრეხტის კილის უნივერსიტეტის სტიპენდია ახალგაზრდა მკვლევრებისა და დოქტორანტებისათვის. საკვლევი თემატიკა გახლდათ „ევალვაცია და აკრედიტაციის საკითხები უმაღლეს სკოლაში“. 2007-2012 წლებში იყო თსუ-ის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მოწვეული მასწავლებელი. მისი სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებებია: უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, პედაგოგიური კვლევა, ზრდასრულთა განათლება.

■ თემურ შენგელია

თემურ შენგელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და „საერთაშორისო ბიზნესის“ მოდულის ხელმძღვანელია. სადოქტორო დისერტაცია 1999 წელს დაიცვა. 2013 წლიდან დღემდე გახლავთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მრჩეველთა საბჭოს წევრი. 2006-2009 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის“ კათედრის გამგე, „ბიზნესის ადმინისტრირების“ მიმართულების ხელმძღვანელი. 2005-2012 წლებში გახლდათ საქართველოს პარლამენტის მერ არჩეული საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი. 1993-2006 წლებში იყო თსუ-ის სოხუმის ფილიალის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, „ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის“ კათედრის გამგე.

2009 წელს თემურ შენგელიას ინიციატივით, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შეიქმნა „საერთაშორისო ბიზნესის“ კათედრა. ამ პერიოდიდან მოყოლებული კათედრაზე გაიხსნა „ბიზნესის ადმინისტრირების“ მიმართულების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მოდულები.

თემურ შენგელია არის 9 სახელმძღვანელოსა და 100-მდე სამეცნიერო სტატიისა და მონოგრაფიის ავტორი.

■ პაატა იმნაძე

პაატა იმნაძე თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის პროფესორია. იგი 1992 წლიდან არის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი; 1997 წელს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კათედრის დოცენტი; 1997-1998 წწ. — მერილენდის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი; 2005 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის კათედრის სრული პროფესორი; არის 105 სამეცნიერო ნაშრომისა და მიკრობიოლოგიის ორი სახელმძღვანელოს ავტორი. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 1983 წელს თემაზე — „ახალშობილთა და ჩვილ ბავშვთა ნაწლავის მიკროფლორა და იმუნური სტატუსი“. 1989-1992 წლებში იყო დირექტორის მოადგილე ეპიდემიოლოგიის და ჰიგიენის სამეცნიერო ცენტრში.

■ ნინო ოკრიბელაშვილი

ნინო ოკრიბელაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორია. 2015 წლიდან მუშაობს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ გენერალური დირექტორის მოადგილედ კლინიკურ დარგში. იგი ავტორია 36 სამეცნიერო ნაშრომის, რომლებიც ეხება ბიოლოგიური, სოციალური ფსიქიატრიისა და მოსაზღვრე მდგომარეობათა პრობლემებს; საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 1990 წელს თემაზე — „შიზოფრენიით დაავადებულთა პლაზმის ბიოლოგიური თვისებები და სისხლის ფორმიანი ელემენტების სტრუქტურული თავისებურებანი მკურნალობამდე და ფსიქოტროპული პრეპარატებით მკურნალობის შემდეგ“.

■ ირმა ხარშილაძე

ირმა ხარშილაძე თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორია. დისერტაცია დაიცვა 1994 წელს თემაზე: „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სამართლებრივი სტატუსი“. 1995 წელს გახლდათ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საფუძვლების კათედრის მასწავლებელი; 1998 წლიდან — დაუსწრებელი განყოფილების მეთოდისტი და მეთოდსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; 2003 წლიდან — ამავე ფაკულტეტის ადმინისტრაციული სამართლის კათედრის დოცენტი; 2015 წლიდან დღემდე გახლავთ იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული სამართლის მიმართულების პროფესორი.

ირმა ხარშილაძე 30-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მას ეკუთვნის სამეცნიერო პუბლიკაციები: „ქართული სამართლის საფუძვლები“, „ქართული კონსტიტუციონალიზმი და სამართლებრივი პრობლემები“, „სამართალმცოდნეობა“, „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი“. სხვადასხვა თანაავტორებთან ერთად გამოცემული აქვს 10 სამეცნიერო პუბლიკაცია. მონაწილეობდა 20-ზე მეტ სამეცნიერო კონფერენციასა და სემინარში.

■ გიორგი ღვედაშვილი

გიორგი ღვედაშვილი თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსია. 2009-2012 წლებში გახლდათ თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ასოცირებული პროფესორი.

2003 წლიდან იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უძღვება შემდეგ სალექციო და პრაქტიკულ კურსებს: ელექტრობა და მაგნეტიზმი, ოპტიკა, ფიზიკური პროცესების კომპიუტერული მოდელირება, მეცნიერების მენეჯმენტი, ელექტრონიკის შესავალი, ანტენები და ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელება, ელექტრომაგნიტური თავსებადობის საფუძვლები. გიორგი ღვედაშვილი გახლავთ 67 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორი.

■ თამარ ვაშაკიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ ვაშაკიძე გახლავთ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი და ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი (1998 წლიდან დღემდე). იგი არის სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა საბჭოს ქართული ენის ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის ქვეკომისიის თავმჯდომარე.

საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე: „წინა ვითარების სახელთა წარმოება ქართველურ ენებში“, ხოლო სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „ზმნის აღწერითი წარმოება ძველ ქართულში“. სულხან-საბა ორბელიანის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (10 წლის განმავლობაში) კითხულობდა ლექციების კურსს — ძველი ქართული ენა, სალიტერატურო ენის ისტორია, მორფოლოგია, სინტაქსი, რიტორიკა.

არის 140-ამდე ნაშრომის ავტორი, აგრეთვე არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი თუ ოპონენტი და საგრანტო პროექტების ხელმძღვანელი.

რა მიზნები აქვს ახლად შექმნილ ქართველ-რუმინელ ისტორიკოსთა კომისიას

თამარ დადიანი

რუმინეთში საქართველოს ელჩის ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილის ინიციატივით ქართველ-რუმინელ ისტორიკოსთა კომისია შეიქმნა, რომლის პარტნიორიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იქნება. კომისია 300 წლოვან ქართულ-რუმინულ ურთიერთობათა ისტორიიდან გარკვეულ საკითხებს შეისწავლის — დაწყებული ანთიმოზ ივერიელის, ვახტანგ VI-ისა და კონსტანტინე ბრინკოვიანუს რუმინეთთან ურთიერთობებიდან, დამთავრებული გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე, როდესაც რუმინეთმა პირველმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ისტორიკოსთა ქართულ-რუმინული კომისია ნათელს მოჰფენს ბევრისთვის დღემდე უცნობ დეტალებს ქართულ-რუმინული ურთიერთობებიდან. ისტორიკოსები ერთობლივად იმუშავებენ და ფუნდამენტალურ ნამუშევრებს მოამზადებენ.

საქართველოსა და რუმინეთის ურთიერთობა XVIII საუკუნიდან იწყება. ქართველ-რუმინელ ისტორიკოსთა კომისიის მისია სწორედ ამ დროიდან მოყოლებული უცნობი ფაქტების მოძიება და შესწავლა იქნება. შემდგომ ეს შეგროვებული მასალა დაიბეჭდება წიგნად და ამით პატივი მიეგება ორი ქვეყნის საუკუნოვან ურთიერთობებს.

როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი ჩვენთან საუბარში ამბობს, კომისიის პირველი შეხვედრა 24-27 სექტემბერს გაიმართა რუმინეთში, სადაც საქართველოდან რამდენიმე ინსტიტუცია მონაწილეობდა, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან კომისიაში იყვნენ თავად ზურაბ გაიპარაშვილი, ისტორიკოსი, პროფესორი მიხეილ ბახტაძე და საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ეროვნული არქივის წარმომადგენლები; ასევე ის ქართველი მკვლევრებიც, რომლებიც, ამჟამად, სადოქტორო პროგრამით იმყოფებიან უცხოეთში.

„ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს მხრიდან მთავარი პარტნიორი სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია. მანამდე შეხვედრა გვქონდა თსუ-ის რექტორთან გიორგი შარვაშიძესთან, რომელიც ძალიან დაინტერესდა იდეით და მხარდაჭერა აღგვითქვა.

რუმინეთში ქართულ მხარეს მასპინძლობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სწავლებათა და ეთნოლოგიის ინსტიტუტები. შეხვედრები გვქონდა აგრეთვე რუმინელ დიპლომატებთან. შემდგომი ნაბიჯი საქართველოში რუმინელი კოლეგების ვიზიტი იქნება. ჩვენი მხრიდან უკვე გამოიკვეთა ის საკითხები, რომელზედაც ორივე მხარე იმუშავებს.

აღსანიშნავია, რომ რუმინეთის ეროვნულ არქივში ანთიმოზ ივერიელთან დაკავშირებით 250 ახალი დოკუმენტი აღმოჩნდა, თსუ-ის ბიბლიოთეკაში კი ინახება ისტორიკოსის, პროფესორ ვალერიან მაჭარაძის არქივი, სადაც იგი ამბობს, რომ XVIII საუკუნეში რუმინელი ხელისუფალნი კარგად იყვნენ ინფორმირებულნი საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. საარქივო დოკუმენტების მიხედვით ჩანს, რომ კონსტანტინეპოლში მყოფი დეპუტატები ხელისუფლების წარმომადგენლებს საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით აწვდიდნენ ამბებს.

საინტერესო ინფორმაციები შეიძლება აღმოჩნდეს, ასევე, როგორც ქართული, ისე რუმინული პრესის ფურცლებზეც. მნიშვნელოვანი საკვლევი თემაა აგრეთვე 1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის მოვლენები, მეორე მსოფლიო ომის პერიოდი, საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა რუმინეთის ურთიერთობები და ასე შემდეგ. იმედი მაქვს, რომ საინტერესო კვლევები განხორციელდება და უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომები გამოქვეყნდება. აქვე გავიხსენებ ერთ საინტერესო ფაქტსაც: საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ოფიციალურ შეხვედრაზე გვითხრა — როდესაც რუსეთის ელჩს შევხვდით, მან თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის 140 წლოვან ისტორიას, რაზეც მე ვუპასუხე: „არსებობს ასეთი ქვეყანა — საქართველო, რომელთანაც 300 წლოვანი მეგობრობა გვაკავშირებს“.

რუმინელებს ძალიან უყვართ საქართველო. ჩვენს მეგობრობას საფუძველი ანთიმოზ ივერიელის დროს ჩაეყარა, იმედი მაქვს, ჩვენი კომისიის მუშაობის საბოლოო შედეგი ამ ურთიერთობებს კიდევ უფრო გაამყარებს და გააძლიერებს“, — განაცხადა ზურაბ გაიპარაშვილმა.

ახალი სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის

თამარ დადიანი

„მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება და რესურსების მართვა“ — ასე ჰქვია სახელმძღვანელოს, რომლის პრეზენტაციაც (19 ოქტომბერს) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავსა და თსუ-ის საქართველოს გეოგრაფიის კათედრის დაარსების 20 წლისთავს მიეძღვნა.

სახელმძღვანელოში, რომელიც პირველად გამოიცა, განხილულია: მდგრადი განვითარების თეორიული საფუძვლები, პრინციპები და მეთოდოლოგია; მთიანი რეგიონების ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებანი; მსოფლიოს მთიანი ტერიტორიების სპეციფიკა და საკანონმდებლო რეგულაციები; გლობალური პრობლემების რეგიონული სახესხვაობანი; მსოფლიოს ცალკეული რეგიონების, კავკასიის და საქართველოს მდგრადი განვითარების აქტუალური საკითხები; მდგრადი განვითარების საველე კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის და აღნიშნული თემატიკით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის.

წიგნის ავტორები არიან: თსუ საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის გამგე, საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ლანდშაფტური ანალიზის და ლანდშაფტური დაგეგმარების კომისიის ხელმძღვანელი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი, თსუ-ის საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის ასოცირებული პროფესორი, გეოგრაფიის დოქტორი გიორგი მელაძე, სომხეთის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი აშოტ ხოეციანი და ბერნის (შვეიცარია) უნივერსიტეტის პროფესორები: ჰეინო მეესენი და ტომას კოლერი.

სახელმძღვანელო მომზადდა საერთაშორისო პროექტის — „მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება და რესურსების მართვა“ ფარგლებში, რომელიც 2015-2018 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა.

„პროექტი მოიცავდა ახალ ინტერდისციპლინურ მიმართულებას, რომელსაც „მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება და რესურსების მართვა“ ჰქვია. ის ორ ძირითად საქმიანობას ითვალისწინებდა: პირველი იყო სასწავლო სახელმძღვანელოს მომზადება, გამოცემა და მისი სასწავლო პროცესში ჩართვა და მეორე — საველე სასწავლო კურსის მომზადება და სასწავლო პროცესში ინტეგრირება. ორივე მიზანი ორი წლის წინ წარმატებით განხორციელდა როგორც თბილისის, ისე ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. შესაბამისი სილაბუსის პრაქტიკული კურსის სახით სახელმძღვანელო უკვე ისწავლება სამაგისტრო პროგრამის პირველ კურსზე“, — აღნიშნა წიგნის ერთერთმა ავტორმა და პრეზენტატორმა, პროფესორმა ნოდარ ელიზბარაშვილმა.

„პროექტი, რომელიც თბილისის, ერევნისა და ბერნის უნივერსიტეტების ერთობლივი ძალით განხორციელდა, ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯია სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტებიც. სამეცნიერო ტანდემმა წარმატებით გაართვა თავი დასახულ მიზანს და დღეს ხელში გვაქვს სახელმძღვანელო, რომელიც სტუდენტებს მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების თეორიულ საფუძვლებს, პრინციპებსა და მეთოდოლოგიას შეასწავლის“, — განაცხადა ბერნის უნივერსიტეტის პროფესორმა, დოქტორმა ჰეინო მეესენმა.



პრეზენტაციაზე გაწეული საქმიანობის შესახებ ისაუბრა აგრეთვე სომხეთის პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორმა აშოტ ხოეციანმა.

წიგნის პრეზენტაციას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, WWF-ისა და „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა — დედამიწის მეგობრების“ წარმომადგენლები, ასევე უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

�გᲚᲝᲑᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲨᲘ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ორგანიზებით 26-27 ოქტომბერს გაიმართა III საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. კონფერენციის მიზანი იყო ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში ჩატარებული მეცნიერული კვლევების შედეგებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 9 ქვეყნის 110-მდე ქართველმა და უცხოელმა მეცნიერ-ეკონომისტმა, რომლებმაც 120-მდე ნაშრომი და სამეცნიერო სტატია წარმოადგინეს.

კონფერენციის განმავლობაში მუშაობდა 14 სექცია: მაკროეკონომიკა, ეკონომეტრიკა (სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი იური ანანიაშვილი); ეკონომიკური პოლიტიკა (სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ გველესიანი); თეორიული ეკონომიკა, (სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი); მაკროეკონომიკა (სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ხადური); მიკროეკონომიკა (სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი ეთერ ხარაიშვილი); საერთაშორისო ეკონომიკა (სექციის ხელმძღვანელი: აკადემიკოსი, პროფესორი ავთანდილ სილაგაძე); რეგიონული ეკონომიკა (სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი ეთერ ხარაიშვილი); სტატისტიკა, (სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი სიმონ გელაშვილი); აღრიცხვა, აუდიტი, ანალიზი (სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი ლევან საბაური), მარკეტინგი (სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი ნუგზარ თოდუა); მენეჯმენტი (სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი დავით ნარმანია); ტურიზმი (სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი იოსებ ხელაშვილი); ფინანსები, საბანკო საქმე (სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი ირაკლი კოვზანაძე) და ინფორმაციული ტექნოლოგიები (სექციის ხელმძღვანელი: პროფესორი დემურ სიჭინავა).

პლენარული სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ წლევანდელი კონფერენცია ეძღვნება თსუ-ის 100 წლის იუბილეს.

„საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ ნაშრომებში აქტუალური და პრობლემური საკითხებია განხილული. გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც შეუქცევად ხასიათს ატარებს. სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოებაში არის ისეთი მოსაზრებები, რომ ჯობია რაღაც მოარული, სხვა ქვეყნიდან მოსული იდეებით ვისაზრდოოთ, მაშინ, როდესაც ქართველ ეკონომისტებს აქვთ ის პრაქტიკული ცოდნა, რაც აუცილებელია სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად. ძალიან რთულია კონკრეტული რეცეპტის შექმნა. ჩვენ უნდა ავიღოთ გლობალიზაციისგან მაქსიმალურად ის უპირატესობა, რასაც ის იძლევა და შევამციროთ ის საფრთხეები, რასაც გლობალიზაცია ქმნის. ამაში კი ფასდაუდებელი წვლილის შეტანა შეუძლია ქართველ ეკონომისტებს“, — განაცხადა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა გიორგი ღაღანიძემ.

„ეს საკითხები აქტუალურია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. გლობალიზაციის და ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვს გადასადგმელი და, შესაბამისად, ჩვენი მეცნიერების რეკომენდაციებს და მეცნიერულ მიდგომებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა საქართველომ ღირსეული ადგილი დაიკავოს ამ მიმართულებით. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ უცხოელი მომხსენებლებიც, რაც ნიშნავს, რომ მიმდინარე პროცესები მათთვისაც საინტერესოა. ასევე მნიშვნელოვანია ქართველი კოლეგების მოსაზრებებიც“, — განაცხადა თსუ-ის კანცლერმა ნუნუ ოვსიანიკოვამ.

კონფერენციაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია. მისი თქმით, „მსოფლიოში უკვე აღარავინ მაღავს, რომ გლობალიზაცია არ იყო მხოლოდ პოზიტიური შედეგების მომტანი, რომელმაც გამოიწვია კაპიტალის კონცენტრაცია იმ სუბიექტების ხელში, ვინც ისედაც ფლობდა დიდ კაპიტალს და ასევე, გარკვეულწილად, გაღარიბების ტენდენციებსაც შეუწყო ხელი. ამიტომ ისეთი მასშტაბის მქონე ქვეყნებისათვის, როგორიც ჩვენ ვართ, ეს გამოწვევები ორმაგად მძაფრად დგას. ძალიან მძიმედ მოსაძებნია ოქროს შუალედი. საქართველო არ არის პირველი ქვეყანა, ვინც ამ გამოწვევის წინაშე დგას. საერთაშორისო გამოცდილება ამ თემასთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რათა ჩვენ ჩვენს კონკრეტულ ხედვებში ჩამოვყალიბდეთ.

გლობალიზაცია მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც ღია ეკონომიკის პრინციპებით ცდილობს განავითაროს ქვეყნის ეკონომიკა. საერთო მსოფლიო გლობალური პროცესების გათვალისწინების გარეშე არ არსებობს ეროვნული ეკონომიკის პროგრესი. ამიტომ, გლობალურ კანონზომიერებათა შეცნობა, მათი გათვალისწინება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სახელმწიფოებისთვის, როგორიც ჩვენი ქვეყანაა.

ასევე უდავოა, რომ გლობალიზაციის პროცესი მოიცავს როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ მხარეებს. გლობალიზაციის ნეგატიურ მხარეზე საუბრისას გამოიყენებენ ამგვარ მსჯელობას: გლობალიზაცია ხელს უწყობს ეროვნული იდენტობის შესუსტებას და გაერთსახოვნებას. ცხადია, პრობლემა ახალი არ არის და მსოფლიო დიდი ხანია მიხვდა იმას, რომ განსაკუთრებული დამცავი მექანიზმების გარეშე ისეთი მასშტაბის ერებმა, როგორიც ჩვენ ვართ, შეიძლება სერიოზული ზიანი მიიღონ. ამდენად, ჩვენი ვალდებულებაა, ის დაცვითი მექანიზმები ავამოქმედოთ, რომლებიც ევროპულ ქვეყნებშია შემუშავებული, რომელიც ხელს შეუწყობს გლობალიზაციის პროცესის განვითარებასა და სწორად წარმართვას“, — აღნიშნა რომან კაკულიამ.

თსუ-ის პროფესორის ელგუჯა მექვაბიშვილის განცხადებით, მისასალმებელია, რომ საერთაშორისო კონფერენცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრადიციად იქცა: „საკითხები, რომელიც ამ კონფერენციაზე გამოდის, არა მარტო საქართველოში, მსოფლიოშიც აქტუალურია. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, გლობალიზაცია მსოფლიოს განვითარების მიმართულების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა, რომელიც აქტიურ ზეგავლენას ახდენს სოციუმის ყველა მხარეზე. გლობალიზაცია რთული და კომპლექსური ფენომენია და მისი შესწავლა სხვადასხვა მეცნიერების ძალისხმევის გაერთიანებას მოითხოვს. ამ პროცესში განსაკუთრებული ადგილი უკავია ეკონომიკურ და ბიზნეს მეცნიერებებს, ვინაიდან, ზოგადად, გლობალიზაციის საფუძველი და ქვაკუთხედი ეკონომიკის გლობალიზაციაა.

ამასთანავე, დღეს გლობალიზაცია ორლესულ მახვილს წააგავს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მის მოქმედებას მოაქვს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შედეგები. თანამედროვე პირობებში გლობალიზაციის წინააღმდეგობრივ ხასიათზე ყურადღებას ამახვილებენ მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები. ამაზე ისაუბრა გაეროს სესიაზე გლობალიზაციის მედროშე ქვეყნის — აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა.

გლობალიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის. სიტუაციის სირთულე და არაორდინალობა იმაში გამოიხატება, რომ დროში ერთმანეთს დაემთხვა ორი ურთულესი პროცესი — ქვეყნის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია და გლობალიზაციის პროცესში ქვეყნის ეკონომიკის ჩართვა. ასეთ პირობებში პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა, რომელიც შესაძლებელს გახდის გლობალიზაციის უარყოფითი მხარეების მაქსიმალურ ნეიტრალიზებას და დადებითი შედეგების გამოყენებას ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. ვფიქრობ, სწორედ ამ საკითხებზე იქნება გამახვილებული ყურადღება კონფერენციის მონაწილეთა გამოსვლებში“.

თსუ-ის პროფესორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორებს, ყველა მონაწილეს და იმედი გამოთქვა, რომ ეს ტრადიცია სამომავლოდაც გაგრძელდება. მან წაიკითხა საინტერესო მოხსენება თემაზე: „საქართველოს ეკონომიკური მოდელი: სამომხმარებლო პარადოქსი და „ტურისტული ხაფანგი“, სადაც მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საქართველოს ეკონომიკური მოდელი ეფუძნება არა იმდენად წარმოების, არამედ მოხმარების სტიმულირებას. 2017 წელს იმპორტი 3,8-ჯერ აღემატებოდა ექსპორტს, ხოლო იმპორტული პროდუქტების წილი როგორც სამომხმარებლო, ისე სასურსათო კალათაში 80% იყო. საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტული ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა უნდა გახდეს. ამასთან ერთად აუცილებელია სამთავრობო ხედვა ფოკუსირებულ იქნეს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე მისი ინდუსტრიალიზაციის გზით“ — განაცხადა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, რომელმაც საქართველოში ტურიზმის განვითარების საინტერესო ხედვა წარმოადგინა. „მთავარია, რომ ეკონომიკის მხოლოდ ეს დარგი არ იყოს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისთვის პრიორიტეტული, რადგან აუცილებელია განვითარდეს ეკონომიკის რეალური სექტორი და, მაშინ, ტურიზმი საქართველოში მართლაც გახდება წარმოების გაფართოების მამოძრავებელი ძალა. ამ არგუმენტის გასამყარებლად საკმარისია გავიხსენოთ ისეთი ცნობილი ტურისტული ქვეყნები, როგორიცაა, მაგალითად, შვეიცარია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი თუ აშშ, რომლებიც არა მარტო ტურისტული ქვეყნებია, არამედ ეკონომიკური სექტორის განვითარების მრავალფეროვნებითაც გამოირჩევიან, რის გამოც ისინი განეკუთვნებიან განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების რიცხვს“, — აღნიშნა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ლილის (საფრანგეთი) კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი ვერონიკა ფლამბარდი (თემა: „ეკონომიკური მდგომარეობა საფრანგეთსა და ევროკავშირში“). ნაშრომში განხილული იყო მოვლენები, რომლებიც წარმოშვა გლობალიზაციის პროცესმა, ასევე ის საკითხებიც, რომლებიც გამოწვევად რჩება ქვეყნების ინტეგრაციის პროცესში.

ადგილობრივ თვითმართველობებში თანამედროვე საჯარო მართვის ძირითადი გამოწვევების შესახებ ისაუბრა რუეშჩოვის (პოლონეთი) ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორმა იაცეკ სტროინიმ.

პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ვადიმ ჰეტმანის სახელობის კიევის ეროვნული ეკონომიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ტატიანა სობოლევა (თემა: ინტელექტუალური საკუთრების მართვა გლობალური ტექნოლოგიური ცვლილებების კონტექსტში“) და თსუ-ის პროფესორი იოსებ ხელაშვილი (თემა: საქართველოში ტურიზმის მდგრადი განვითარების სოციალური და ეკონომიკური გამოწვევები).

მომხსენებლებმა განიხილეს მიმდინარე ეკონომიკური საკითხები, გლობალური ეკონომიკის გამოწვევები, ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდეციები. კონფერენცია, პრაქტიკულად, ყველა იმ საკითხს მოიცავდა, რაც კი აქტუალურია ეკონომიკაში ბოლო პერიოდში.

პლენარული სხდომის შემდეგ კონფერენციის მონაწილეებმა მუშაობა სექციებში განაგრძეს, სადაც საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს.

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲛᲔᲓᲔᲐ: ᲥᲐᲚᲣᲠᲝᲑᲐ, ᲓᲔᲓᲝᲑᲐ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔᲑᲐ

19 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენცია — „მედეა, ქალურობა, დედობა, სიყვარული და მრისხანება“ გაიხსნა.

კონფერენციის მიზანი იყო წარმოეჩინა თანამედროვე ქალის ფსიქიკის ყველაზე სიღრმისეული ფენები ოჯახთან, შვილებთან, სიყვარულთან, სამშობლოსთან და მოვალეობებთან მისი დამოკიდებულების შესწავლის თაობაზე. კონფერენციაზე ეს საკითხი უძველესი სამყაროს კულტურული ფენომენის, ოქროს საწმისის მითის პერსონაჟის, მედეას სახის არაცნობიერი განზომილებების კვლევების საფუძველზე განიხილებოდა.

კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგა 15 გამოჩენილი ფსიქოანალიტიკოსი, ასევე მოეწყო შეხვედრები და გაკეთდა კლინიკური შემთხვევების ანალიზი. მონაწილეებისთვის გაიმართა რეჟისორ ზაზა ხალვაშის ფილმის „ნამე“-ს ჩვენება და განხილვა, ასევე პერფორმანსი — „ცოცხალი ხელოვნება“.

კონფერენციის პარტნიორები იყვნენ: IPA საერთაშორისო ფსიქოანალიტიკური ასოციაციის კომიტეტი — ქალები და ფსიქოანალიზი; საქართველოს ფსიქოანალიტიკური ფსიქოთერაპიის საზოგადოება; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კონფერენციის გახსნას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი თამარ გაგოშიძე, საერთაშორისო ფსიქოანალიტიკური ასოციაციის წევრი ხათუნა ივანიშვილი, ქართველი და უცხოელი ფსიქოანალიტიკოსები ესწრებოდნენ.

თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თამარ გაგოშიძის თქმით, მსგავსი ფსიქოანალიტიკური კვლევები ერთი პერიოდი მიძინებული იყო და კარგია, რომ დღეს ისევ ტარდება. „კონფერენცია საერთაშორისო ფსიქოანალიტიკური ასოციაციის, საქართველოს ფსიქოანალიტიკური ასოციაციის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით გაიმართა და ის, პირველ რიგში, ჩვენს არაცნობიერს ეხება, იმას, რასაც ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ. ასპექტები: დედობა, მეუღლეობა, პარტნიორობა, მიგრაცია, ტრავმატული გამოცდილება — ასეთი მოვლენების შესწავლას და იმ ადამიანებისთვის დახმარებას, ვისაც შეიძლება ჰქონდეს სერიოზული პრობლემები, მიზნად ისახავს სწორედ ეს კონფერენცია“, — აღნიშნა დეკანმა.

საერთაშორისო ფსიქოანალიტიკური ასოციაციის წევრის ხათუნა ივანიშვილის განცხადებით, კონფერენცია საქართველოში ფსიქოანალიზისა და ფსიქოთერაპიის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. „დღევანდელი კონფერენციის მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ ძალიან დიდი ხანია ამდენი ფსიქოანალიტიკოსი საქართველოში არ შეკრებილა. ეს არის დიდი ფორუმი, რომელიც ძალიან გაამდიდრებს ქართულ ფსიქოლოგიას, ფსიქოთერაპიას და იმედი მაქვს, რომ უცხოელი კოლეგები ბევრს წაიღებენ აქედან“, — განაცხადა ხათუნა ივანიშვილმა.

საერთაშორისო ფსიქოანალიტიკური ორგანიზაციის — „ქალები და ფსიქოანალიზი“ — პრეზიდენტის, გერტრუდა შლეზინგერის ინფორმაციით, კონფერენციის მიზანია ქალსა და მამაკაცს, ქალსა და ბავშვს შორის ურთიერთობების გაძლიერება. „ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ფსიქოანალიტიკის გავრცელება, რათა ამ მიმართულებით სწავლაში, ტრენინგებზე სიარულში ახალგაზრდა ქალებს მხარი დავუჭიროთ. უნდა მოხდეს ქალთა მდგომარეობის ფოკუსირება საქართველოსა და მის მსგავს ქვეყნებში. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ღია ფსიქოანალიტიკური საუბრები ქალთა საკითხებზე. ცხადია, მხოლოდ ქალი არ არის მნიშვნელოვანი, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ეს არის პირველი კონფერენცია, ჩვენ გვექნება კიდევ მეტი კონფერენციები აღმოსავლეთ ევროპაში“, — განაცხადა ორგანიზაციის პრეზიდენტმა.

გერმანელმა ფსიქოანალიტიკოსმა მარიანა ლეიზინგერ ბოჰლებერმა იმედი გამოთქვა, რომ კონფერენცია პროდუქტიული იქნება. „მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ტარდება ეს კონფერენცია, რადგან ჩვენ ყველამ ვიცით მედეა, რომელიც აღმოსავლეთ კულტურის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფიგურაა. ნამდვილად მშვენიერია, რომ ჩვენ ჩამოვედით აქ საქართველოში, საიდანაც მედეა მოდის და ჩვენ ვხვდებით აქაურ კოლეგებს. უნივერსიტეტში ვხვდებით ახალ თაობას და გვაქვს მსჯელობის შესაძლებლობა“, — აღნიშნა ფსიქოანალიტიკოსმა.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ ფსიქოთერაპევტები და სტუდენტები საქართველოდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ჩეხეთიდან, უკრაინიდან, აშშ-დან, რუსეთიდან, ირანიდან, თურქეთიდან, ლატვიიდან, ხორვატიიდან, ნიდერლანდებიდან, ფინეთიდან, ისრაელიდან.

მსგავსი მასშტაბის პროექტი, რომელიც არაცნობიერის შესწავლას ეძღვნება, საქართველოში 1979 წლის შემდეგ არ ჩატარებულა.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ᲝᲜᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ

ᲜᲐᲒᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა — უროლოგიური კიბო — განიხილეს თსუ-ში გამართულ ონკოლოგიური უროლოგიის ასოციაციის II საერთაშორისო კონგრესზე. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმს ევროპის, ამერიკის, კავკასიის რეგიონის, რუსეთის, უკრაინის წამყვანი, საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტები, მეცნიერები და ექიმები ესწრებოდნენ. პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა და მეცნიერებმა უროლოგიურ კიბოსთან ბრძოლის სხვადასხვა მეთოდები განიხილეს. კონგრესის ძირითადი მიზანი ინოვაციური სიახლეების ურთიერთგაზიარება და ქართველი ექიმების თანამედროვე მსოფლიო მედიცინის განვითარების პროცესში ჩართვა გახლდათ.

„კონფერენციაზე ვუზიარებთ ერთმანეთს ჩვენს ცოდნას, გამოცდილებას, კვლევებს, გვაქვს კოლაბორაცია და ვქმნით ქსელებს. მოგეხსენებათ, რომ ონკოლოგიური სფერო სწრაფად განვითარებადი სფეროა მედიცინის, როგორც თეორიული მიდგომების, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. მათ შორისაა იმუნოთერაპია. ბოლო წლებია სხვადასხვა სიახლეები ინერგება. ექიმებმა უნდა იცოდნენ ამ ახალი მეთოდების შესახებ. ასეთი ინფორმაციის გაცვლისთვის დღევანდელი კონგრესი ძალიან მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა აშშ-ის უროლოგიური ონკოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტმა, კალიფორნიის უნივერსიტეტის უროლოგიური დეპარტამენტის თავმჯდომარემ ქრისტოფერ ევანსმა.



კონგრესი მულტიდისციპლინური გახლდათ — მასში მონაწილეობა მიიღეს უროლოგებმა, ონკოლოგებმა, რადიოლოგებმა, პათანატომებმა. განიხილეს უროლოგიური კიბოს მკურნალობის მეთოდებში არსებული სიახლეები — იგულისხმება ქირურგია, სხივური თერაპია, ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, იმუნოთერაპია და ღეროვანი უჯრედების მნიშვნელობა. საქართველოს ონკოლოგიური უროლოგიის ასოციაციის პრეზიდენტის, პროფესორ გურამ ქარაზანაშვილის თქმით: „უროლოგიური კიბოს, კერძოდ პროსტატის, შარდის ბუშტის და თირკმლის კიბოს მკურნალობის ტაქტიკა დაჩქარებულად იცვლება უკანასკნელი დეკადის განმავლობაში. კერძოდ, ფართოდ ინერგება მულტიმოდალური მკურნალობის სტრატეგია და ტაქტიკა. ათობით ათასი სამეცნიერო სტატია ეძღვნება ამ საკითხს ყოველწლიურად. შესაბამისად, დგება აუცილებლობა, რომ ექსპერტების მიერ ჩატარდეს ამ სიახლეების სწორი ანალიზი, რათა კლინიკურ პრაქტიკაში დაინერგოს ის მეთოდები, რომელიც ყველაზე ეფექტურად და საიმედოდ უზრუნველყოფს ზემოაღნიშნულ დაავადებებთან ბრძოლას. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მულტიდისციპლინური სამეცნიერო ფორუმების ორგანიზებით, სადაც სხვადასხვა დარგის საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტები შეაჯამებენ არსებულ სამეცნიერო ინოვაციებს, სადაც განხორციელდება აზრთა გაცვლა, დისკუსიები. ეს უზრუნველყოფს სამეცნიერო-პრაქტიკულ პროგრესს, სპეციალისტთა ცოდნის, გამოცდილების ზრდას, პროგრესული იდეების პოპულარიზაციას და მრავალ სხვა სიკეთეს, რაც საბოლოო ჯამში მიმართული იქნება ჩვენი ქვეყნის და მსოფლიოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისკენ“.

ონკოლოგიური უროლოგიის ასოციაციის მსგავსი რანგის საერთაშორისო კონგრესი საქართველოში პირველად გაიმართა. სამეცნიერო ღონისძიება როგორც მეცნიერებს, ასევე პრაქტიკოს ექიმებს, სტუდენტებსა და რეზიდენტებს აძლევს შესაძლებლობას, რომ მათ უროლოგიური კიბოს მკურნალობის მიმართულებით არსებული კვლევები, მკურნალობის ახალი სტრატეგიები გაიზიარონ და საქართველოშიც დანერგონ.

„ასეთი ტიპის კონგრესი მედიცინაში საერთაშორისო მოვლენაა. თსუ წელს 100 წლის იუბილეს ზეიმობს, ამიტომ ბევრი ასეთი საერთაშორისო ღონისძიება აქ იმართება, მათ შორის მედიცინის მიმართულებითაც. კონგრესს ესწრებოდნენ დარგის წამყვანი სპეციალისტები სხვადასხვა ქვეყნიდან, გადმოსცეს ონკოლოგიურ უროლოგიაში არსებული ახალი მიღწევები, გაიმართა საინტერესო დისკუსიები. კონგრესი უმნიშვნელოვანესია მომავალი ექიმებისთვისაც, ცოდნის გადაცემა სტუდენტებისთვის და რეზიდენტებისთვის ამ სამეცნიერო ფორუმის ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულებაა“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა ალექსანდრე ციკარიძემ.

„მოხსენებები, ძირითადად, ორი მიმართულებით მოვისმინეთ — ფაქტებზე დაფუძნებული უროლოგია, ანუ დღევანდელი მიღწევები და ინოვაციებისა და ჰიპოთეზების პირველი გამოცდა, ტექსტირება, აპრობაცია. მნიშვნელოვანია, რომ დიდი ინტერესი იყო სტუდენტების, რეზიდენტების, ახალგაზრდა მეცნიერების მხრიდან“, — აღნიშნა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დიმიტრი კორძაიამ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში II საერთაშორისო ონკოლოგიური კონგრესი 26 ოქტომბერს გაიხსნა. კონგრესის მიმდინარეობა პირდაპირი ტრანსლაციით გადაიცემოდა 2 ვებგვერდზე: mmt.ge და gaou.ge. კონგრესის სპონსორები გახლდათ MMT ჰოსპიტალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ

FRANKFURTER BUCHMESSE

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲬᲐᲠᲡᲓᲒᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲨᲘ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფრანკფურტის წიგნის ფესტივალის მეორე დღეს ახალი გამოცემებით წარსდგა. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ და „გილგამეშიანის“ მიხაკო წერეთლისეული გერმანული თარგმანები, ქართულ-ხეთური ლექსიკონი და „ზაფხულის მოკლე ღამე“ (შუმერული, აქადური და ხეთური ლოცვების და ჰიმნების ქართული თარგმანი) თსუ-ის პროფესორებმა ნინო სამსონიამ და ირინე ტატიშვილმა წარადგინეს.

ნინო სამსონიამ მეცნიერებასა და ლიტერატურაში მიხაკო წერეთლის მნიშვნელოვან როლზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ „მიხეილ წერეთელი შედის გილგამეშის ეპოსის მთარგმნელ-გამშიფვრელთა მსოფლიო სამეულში. მხოლოდ მსოფლიო ელიტარულ უნივერსიტეტებს აქვთ პირველად გაშიფრული გილგამეშის ეპოსი. ჩვენი დარგის დამაარსებელს — მიხაკო წერეთელს ეკუთვნის, ასევე, „სიბრძნე-სიცრუისას“ და „ვეფხისტყაოსნის“ ძალიან მაღალი დონის თარგმანები, რასაც აღიარებს ყველა გერმანელი და ქართველი მეცნიერი“.

ირინე ტატიშვილის განცხადებით, ქართულ-ხეთური ლექსიკონი სპეციალურად ამ გამოფენისთვის პოლონეთში გამოიცა. „ამ თარგმანზე 2006 წლიდან ვმუშაობ. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, სიცოცხლის დიდი ნაწილი მივუძღვენი ამ წიგნს. წიგნისადმი უცხოელი კოლეგების ინტერესი დიდია, რადგან ისინი ხეთურის მეშვეობით ეცნობიან ქართულ შესატყვისებს“, — აღნიშნა თსუ-ის პროფესორმა.

ფესტივალის მეორე დღეს ფრანკფურტის სტუმრები გაეცნენ ჰომილეტიკური ძეგლების თარგმანებს. თსუ-ის მეცნიერმა სოფიო სარჯველაძემ ძველი ქართული სასულიერო მწერლობის უძველეს დარგზე — ჰომილეტიკაზე ისაუბრა, რომელიც ქრისტიანობის შემოსვლისთანავე გაჩნდა საქართველოში და განსაკუთრებით X-XI საუკუნეებში განვითარდა; ამ პერიოდში ექვთიმე ათონელმა და ეფრემ მცირემ ბიზანტიური უმაღლესი საეკლესიო იერარქიის წარმომადგენლების — წმინდა იოანე ოქროპირისა და დიდი კაბადოკიელი მამების ჰომილიების თარგმნა დაიწყეს. მეცნიერის საჯარო ლექცია ექვთიმე ათონელს და მის მთარგმნელობით მეთოდს ეხებოდა.

სოფიო სარჯველაძემ ასევე წარადგინა ძველი ქართული ენის დოკუმენტირებული ლექსიკონი, რომელიც V-XII საუკუნეების ქართულ ენას მოიცავს. „ეს წიგნი ძველი ქართული ენის დოკუმენტირებული ლექსიკონია და ზურაბ სარჯველაძე ცხოვრების ბოლომდე მუშაობდა მასზე. მისი გამოცემის საშუალება ახლა მოგვეცა. ამ წიგნში 35000-მდე სიტყვა არის განმარტებული და თითოეულ ლექსემას ერთვის მაგალითები ძველი ქართული ენის წყაროებიდან. ეს ლექსიკონი არის ყველაზე ვრცელი და ფაქტობრივად მოიცავს ძველი ქართული ენის ლექსიკურ ფონს“, — განაცხადა სოფიო სარჯველაძემ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲞᲔᲢᲠᲘᲬᲘᲡ ᲗᲐᲠ�გᲛᲐᲜᲔᲑᲘ ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ

ქართულ-გერმანული სამეცნიერო ურთიერთობები იყო DAAD-ის ვიცე-პრეზიდენტის, გისენის უნივერსიტეტის პრეზიდენტის, თსუ-ის საპატიო დოქტორის ჯობრატო მუქერჯის საჯარო ლექციის მთავარი თემა ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე. „თსუ-ის დამფუძნებლებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ გერმანულ სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცესთან და ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება. ამის კარგი მაგალითია გერმანულ-ქართული სამეცნიერო ხიდი, რომელიც იულიხის ცენტრისა და თსუ-ის ორგანიზებით ყოველწლიურად იმართება“, — განაცხადა მუქერჯიმ. მან ხაზი გაუსვა გერმანულ-ქართულ საზაფხულო სკოლას, რომელიც ახალგაზრდებისთვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს საერთაშორისო კონტაქტების დამყარებისთვის. მუქერჯის თქმით, საქართველო გერმანიისთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია და გერმანულ-ქართული თანამშრომლობის კარგი ნიმუშია „საქართველოს ეროვნული ატლასი“, რომელიც გერმანიის მხარემ ფრანკფურტის ფესტივალისთვის გამოსცა.

ამავე დღეს ფესტივალზე ძველი ქართული ფილოსოფიური კულტურის შესახებ ისაუბრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ლევან გიგინეიშვილმა. მან ფართო საზოგადოებას წიგნი „იოანე პეტრიწის პლატონური თეოლოგია“ წარუდგინა. „მნიშვნელოვანი იყო ძველი ქართული ფილოსოფიური კულტურის წარმოჩენა. ჩვენ XII საუკუნეში გვქონდა ასეთი მაღალხარისხოვანი თარგმანი პროკლესი, რომელიც ლათინებმა მარტო საუკუნე ნახევრის მერე გააკეთეს, და არა მარტო თარგმანი, არამედ იოანე პეტრიწის მიერ მთელი ურთულესი მეტაფიზიკური ნააზრევის კრეატიული გადამუშავება ქრისტიანულ კონტექსტში“, — აღნიშნა ლევან გიგინეიშვილმა.

ფრანკფურტში დიდი ინტერესი გამოიწვია დავით მაღრაძის პოემის „ჯაკომო პონტის“ გერმანულმა თარგმანმა, რომელიც 2018 წელს გერმანულმა გამომცემლობამ Shaker Verlag-მა გამოსცა. თარგმანში პოემის შესახებ შესავალი წერილი გერმანელ პოეტსა და ლიტერატორს გერტ რობერტ გრიუნერტს ეკუთვნის, რომელმაც ფესტივალზე პოემიდან ნაწყვეტები ლიტერატორ ნინო პოპიაშვილთან ერთად, თავადაც წაიკითხა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲢᲚᲐᲡᲘ ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, სხვა ღირსშესანიშნავ და საიუბილეო გამოცემებთან ერთად, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს ეროვნული ატლასის პირველ ინგლისურენოვანი გამოცემა წარადგინა. გამოცემა თსუ-ის 100 წლისთავს ეძღვნება და მისი პრეზენტაცია ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე გისენის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ჯობრატო მუქერჯის მოხსენების ფარგლებში გაიმართა.

საქართველოს ეროვნული ატლასი მოიცავს 100-ზე მეტ რუკას, გრაფიკებსა და ფოტოებს. იგი წარმოადგენს 2012 წელს გამოცემული ქართულენოვანი ატლასის გადამუშავებულ და განახლებულ ვერსიას. მასში საზოგადოებრივი გეოგრაფიის თემატური რუკები მთლიანადაა განახლებული, რომელთა შედგენაშიც ახალი აღწერის მასალებია გამოყენებული.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, გიორგი შარვაშიძის განმარტებით, გერმანიაში გამოცემული ატლასი, სადაც საქართველო საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებშია წარმოდგენილი, მნიშვნელოვანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო რესურსია ჩვენი ქვეყნით დაინტერესებული ყველა სტუდენტისა და მეცნიერისთვის.

გამოცემა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტისა და გერმანიის იუსტუს ლიბიხის სახელობის გისენის უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის მიერ მომზადდა და გერმანული მხარის თანადაფინანსებით გამოიცა.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲡᲢᲔᲜᲓᲗᲐᲜ

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტენდი მოინახულა და, სხვადასხვა გამოცემებთან ერთად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალფეროვან სამეცნიერო ლიტერატურასაც გაეცნო. სტუმრებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით წარმოდგენილი 50-ზე მეტი უნიკალური გამოცემა დაათვალიერეს. მათ შორის, კ. კაუცკის წიგნის „საქართველო: გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა“ სამენოვანი თარგმანი, ვ. ვოიტინსკის „ქართული დემოკრატია“, ალბომი — „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის ქრონიკები“ და სხვა.

პრემიერ-მინისტრთან ერთად, სტენდი მოინახულეს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა განათლებისა და მეცნიერების დარგში მიხეილ ჩხენკელმა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა და მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრებმა.

ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲠᲛᲘ ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ

სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავება და გაცვლითი პროგრამების ამოქმედება იყო მემორანდუმის მთავარი საკითხები, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და ფრანკფურტის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ბირგიტა ვოლფმა მოაწერეს ხელი. ხელმოწერის ღონისძიებას გერმანიაში საქართველოს გენერალური კონსული იოსებ ჩხიკვიშვილი ესწრებოდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ფრანკფურტის უნივერსიტეტი წლებია ნაყოფიერად თანამშრომლობენ. ახალი შეთანხმების საფუძველზე ორ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა ეთნოლოგია-ეთნოგრაფიისა და ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულებითაც გაძლიერდება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი შარვაშიძის განცხადებით, ფრანკფურტის უნივერსიტეტი თსუ-ის დიდი ხნის პარტნიორია, თანამშრომლობის ფორმალიზება კი კარგი წინაპირობა იქნება ერთობლივი კვლევების წახალისებისთვის. „მემორანდუმს ხელი მოეწერა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის პარალელურად. ბევრი მეცნიერი, რომელიც თანამშრომლობს ფრანკფურტის უნივერსიტეტთან, ბაზრობაზე წარმოადგენს გერმანელ კოლეგებთან ერთობლივ კვლევებს. ეს არის კარგი საშუალება, ევროპას შევახსენოთ, რომ ჩვენც ევროპელები ვართ და საქართველოში მეცნიერება კარგად არის განვითარებული“, — აღნიშნა რექტორმა.

მემორანდუმის გარდა, ხელი მოეწერა რამდენიმე ხელშეკრულებას, რომელიც სტუდენტების, მათ შორის, დოქტორანტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას და კვლევებში აქტიურ ჩართვას ითვალისწინებს. „ეს შეთანხმება არის ჩარჩო ხელშეკრულება, რომელიც გვაძლევს თანამშრომლობის გაღრმავების საშუალებას, ამასთან, სტუდენტებს და პროფესორებს ერთობლივ სამეცნიერო საქმიანობაში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცემათ“, — განაცხადა ფრანკფურტის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა ბირგიტა ვოლფმა.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის შეფასებისას, რექტორმა გიორგი შარვაშიძემ განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა საერთაშორისო მასშტაბით გაზრდის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს სამეცნიერო საზოგადოე-

ᲒᲐᲒ. 8

FRANKFURTER BUCHMESSE

ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ ᲬᲐᲠᲡᲓᲒᲐ

მე-7 გვ-დან

ბასა თუ სტუდენტებში ქართული სამეცნიერო მიღწევების პოპულარიზაციას.

„ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲘ ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამა ფრანკფურტის 2018 წლის წიგნის ბაზრობაზე „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის მარათონით საზეიმოდ დასრულდა. ღონისძიება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფრანკფურტის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტია, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებმა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა 50 ენაზე წაიკითხეს. ეს იყო მარათონის სადემონსტრაციო ვერსია, რომელიც 2018 წლის ივნისში ფრანკფურტის უნივერსიტეტში გაიმართა და მთელი დღის განმავლობაში ორი უნივერსიტეტის სტუდენტები „ვეფხისტყაოსანს“ სხვადასხვა ენაზე, მათ შორის გერმანულად, ინგლისურად, აფხაზურად, იაპონურად, კორეულად, ჩეჩნურად, პორტუგალიურად, უკრაინულად, ოსურად, სომხურად და აზერბაიჯანულად კითხულობდნენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი შარვაშიძის განცხადებით, მარათონი ძალიან შთამბეჭდავი იყო. „ვეფხისტყაოსანი 50-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი და დღემდე მსოფლიოს ხალხები აღტაცებული არიან რუსთაველის პოეზიით, მისი ფილოსოფიითა და ხედვით. სწორედ ეს იყო ყველაზე მთავარი გზავნილი, რომელიც ფრანკფურტის ფესტივალზე უნდა გაჟღერებულიყო: ჩვენ ვართ უდიდესი კულტურის წარმომადგენლები და თანასწორუფლებიანი ნებისმიერ კულტურულ სივრცეში, მათ შორის, რასაკვირველია, მშობლიურ ევროპულ სივრცეში“, — აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ.

წარმოდგენილი პროექტი არა მხოლოდ ლიტერატურული ღირებულებისაა, არამედ მას სამეცნიერო მნიშვნელობაც გააჩნია. მარათონის მომზადების პროცესში პროექტის სამეცნიერო ჯგუფმა თარგმანების დამუშავება ტექსტის დაპარალელების მიზნით განახორციელა. 50 ენაზე წაკითხული პოემის ფრაგმენტები პარალელურად ეკრანზე გერმანულ ენაზე გადიოდა.

პროექტის ავტორის, ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორის მანანა თანდაშვილის აზრით, ფრანკფურტის ფესტივალი წარმოუდგენელი იყო შოთა რუსთაველის პოემის გარეშე. მისივე თქმით, „ეს არ არის მხოლოდ ლიტერატურული კითხვა. ეს არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფრანკფურტის უნივერსიტეტის თანამშრომლობა აკადემიურ დონეზე, რადგან „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის მარათონში ერთად მონაწილეობდნენ ორი უნივერსიტეტის სტუდენტები“. მანანა თანდაშვილის ინფორმაციით, მომავალი სასწავლო წლიდან თსუ-სა და ფრანკფურტის უნივერსიტეტს შორის ხელმოწერილი მემორანდუმის საფუძველზე დაგეგმილია საერთაშორისო სტუდენტური პროექტის — „ვეფხისტყაოსნის“ პარალელური კორპუსი“ განხორციელება, რომელშიც პროექტში მონაწილე სტუდენტები ჩაერთვებიან, რაც მათ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციას შეუწყობს ხელს.

მარათონის მონაწილე თსუ-ის სტუდენტის ელვინა აბდულაევასთვის მარათონში მონაწილეობას ორმაგი დატვირთვა ჰქონდა. „მე ვარ აფხაზეთიდან, ამიტომ მარათონში აფხაზური ენის წარდგენა ორმაგად საპასუხისმგებლო და ძვირფასი იყო. ამით მინდოდა, ხმა მიმეწვდინა ჩემი თანატოლებისთვის აფხაზეთში“, — განაცხადა მან.

ქართული ლიტერატურის შედევრი — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ პირველად მე-19-ე საუკუნეში ითარგმნა ევროპულ ენაზე — გერმანელი მწერლის, პუბლიცისტის და მთარგმნელის არტურ ლაისტის მიერ. „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნულმა თარგმანმა, რომელიც მან 1885-87 წლებში შეასრულა ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბელის დახმარებით, გზა გაუკვალა რუსთაველის უკვდავ პოემას ევროპელი მკითხველისაკენ. ამ დროიდან მოყოლებული, არაერთი თარგმანი შესრულდა მსოფლიოს 50-ზე მეტ ენაზე.

„ვეფხისტყაოსნის“ კითხვის მარათონი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

მოამზადა მაია ტორაძემ
თსუ-ის საზოგადოებასთან
ურთიერთობის მასალებზე
დაყრდნობით

ᲘᲠᲛᲐ ᲠᲐᲢᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲓᲦᲘᲗᲘᲓᲦᲔ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲛᲨᲕᲘᲚᲘ

თსუ-ის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ირმა რატიანის ინფორმაციით, ქართული ლიტერატურა მსოფლიოს წინაშე საკმაოდ მასშტაბურად და ღირსეულად წარმოჩინდა, ქართული სამეცნიერო ლიტერატურის სტენდმა კი, რომელიც იმ სივრცეში იყო განთავსებული, სადაც სხვა ქვეყნების სამეცნიერო ნაშრომები იყო წარმოდგენილი, იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიწვია.

„ფესტივალზე საქართველოს მხრიდან სხვადასხვა ინსტიტუციები მონაწილეობდნენ, თუმცა ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს წამყვანი პოზიცია ჰქონდა. პრეზენტაციები, რომელიც კარგად იყო ორგანიზებული, ჩვენმა მეცნიერებმა ღია სცენაზე წარმოადგინეს. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ ყოველდღიურად ვხედავდით — როგორ იზრდებოდა ინტერესი ქართული სამეცნიერო ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველის მხრიდან“, — ამბობს ირმა რატიანი.

თსუ-ის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ირმა რატიანმა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ორი წიგნი — „ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“ და „ესეები ქართულ ლიტერატურაზე“ — წარადგინა. წიგნების პრეზენტაციას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე წარუძღვა.

აღსანიშნავია, რომ ირმა რატიანის წიგნი „ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ორჯერ — 2015 და 2018 წელს გამოსცა, 2018 წელსვე, გამომცემლობაში peter lang წიგნის ინგლისური ვერსია დაიბეჭდა, რაც ქართველი მეცნიერის უდაოდ დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. „ჩემთვის დიდი პატივი იყო ის ფაქტი, რომ ასეთი პრესტიჟული აკადემიური გამომცემლობა, რომელიც წლების მანძილზე



მსოფლიო სამეცნიერო გამომცემლობების პირველ ხუთეულში შედის, ჩემი ნაშრომით დაინტერესდა. გამომცემლობასთან მუშაობა ორ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. პირველ ეტაპზე წიგნმა გაიარა ე.წ. „ბრმა რეცენზირების“ ხანგრძლივი პროცედურა და, დადებითი დასკვნის შემდეგ, დაიწყო არანაკლებ ხანგრძლივი სარედაქციო სამუშაოები. მხოლოდ ამის შემდეგ წიგნმა დღის სინათლე იხილა. ამ წიგნში შესული მასალა მკითხველს საშუალებას აძლევს — თვალი მიადევნოს და თავად გამოიტანოს დასკვნები — თუ რა ადგილი უჭირავს ქართულ მწერლობას და როგორია მისი ჩართულობა მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში; რატომ შეიძლება იყოს საინტერესო მისი გაცნობა მსოფლიო სამეცნიერო წრეებისთვის და მკითხველისთვის; რა მიიღო თავად საერთაშორისო ლიტერატურული პროცესებიდან და, რაც მთავარია, რას გასცემდა თავად საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების შევსებისა და გაუმჯობესების მიზნით“, — ამბობს ირმა რატიანი.

როგორც მეცნიერი გვიამბობს, წიგნზე მუშაობის პროცესი უაღრესად საინტერესო და საპასუხისმგებლო იყო, კვლევის შედეგს კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ კუთხით, რომ ჩატარებულმა სამუშაომ აჩვენა: ქართული ლიტერატურის გააზრების გარეშე მსოფლიო ლიტერატურული რუქის დასრულება წარმოუდგენელია. ავტორის ინფორმაციით, წიგნში საუბარია — თუ როგორ ხდებოდა ქართული ლიტერატურული ნაციონალური კანონის ჩამოყალიბება; რა ფაზები გაიარა ამ კანონმა; რა კულტურული მოდელების პირობებში მოუხდა არსებობა და სხვა. „წიგნი, პირველ რიგში, ფარავს თეორიულ პრობლემებს, რომელიც უკავშირდება ქართულ ლიტერატურულ კანონს, ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციას, კულტურულ მოდელებთან მის დამოკიდებულებას, მეორე მხრივ, ის განიხილავს ქართულ ლიტერატურულ ისტორიას დასაბამიდან თანამედროვე პროცესებამდე. წიგნში დასმული არაერთი საკითხი, ისევე როგორც კვლევის მეთოდოლოგია, სიახლეს წარმოადგენს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით სივრცეში. სწორედ ამ საკითხებზე გავამახვილე ყურადღება წიგნის პრეზენტაციაზე. სასიამოვნოა, რომ მსმენელმა აუდიტორიამ კარგად მიიღო წიგნის წარდგინება. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ წიგნი თავიდანვე აღმოჩნდა ჩართული მეგაპროექტში: „მსოფლიო ლიტერატურა დღეს“. ამ ტიპის ნაშრომები ევროპული ქვეყნის რამდენიმე ენაზეა დაწერილი და ქართულმა მწერლობამაც შეაბიჯა ამ ასპარეზზე“, — აღნიშნა ირმა რატიანმა.

ფრანკფურტიდან დაბრუნების შემდეგ მეცნიერმა უკვე მიიღო წერილი გამომცემლობისგან peter lang, სადაც აღნიშნულია, რომ წიგნზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება. ფესტივალზე ირმა რატიანის მეორე წიგნის — „ესეები ქართულ მწერლობაზე“ პრეზენტაციაც გაიმართა. „ამ წიგნის დაბეჭდვა ჩემთვისაც კი დიდი სიურპრიზი იყო“, — აღნიშნავს ირმა რატიანი. კრებულში შესულია რამდენიმე ესსე ქართულ მწერლობაზე და მის ჭეშმარიტად დიად წარმომადგენლებზე. მათ შორის: მიხეილ ჯავახიშვილზე, ალექსანდრე ყაზბეგზე, ილია ჭავჭავაძეზე, რეზო ინანიშვილზე და სხვ. წიგნში ქართველი მწერლების შემოქმედება სულ სხვა რაკურსით არის წარმოჩენილი, მათ შორის — მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“.

მომავალში მეცნიერი ამ ციკლის გაგრძელებასაც გეგმავს. „ამ წიგნების წარდგენა ერთგვარი გამოხატულებაა, თუ რა პროცესები მიმდინარეობს დღეს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების კუთხით. ჩემი აზრით, ქართული ლიტერატურათმცოდნეობა უნდა იყოს ქართული მწერლობის ინტერნაციონალიზაციაზე ორიენტირებული. მესმის, რომ ეს ქართველი მეცნიერებისათვის სერიოზული გამოწვევაა, მაგრამ დღეს უკვე აღარაა სადავო, რომ კულტურა ღირებულია მხოლოდ დიალოგის პროცესში. ამიტომ, აუცილებელია, ისეთი დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა, როგორიც ჩვენ გვაქვს, მთელი ძალისხმევით ჩაერთოს საერთაშორისო დიალოგში“, — ამბობს ირმა რატიანი.

ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე

FRANKFURTER BUCHMESSE

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფრანკფურტში აჩვენა, რომ უდიდეს პოტენციალი გააჩნია

მაია ტორაძე

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო წიგნებმა: „სულიკო მსოფლიოს ხალხთა ენებზე“ და გერმანულენოვანმა მონოგრაფიამ — „ქართული განმანათლებლობა — სულხან-საბა ორბელიანი“, რომლებიც ავტორმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის თანამშრომელმა, ფილოლოგიის დოქტორმა ნინო პოპიაშვილმა წარდგინა.

მონოგრაფია ეხება ქართული განმანათლებლობის ევროპულ ჰორიზონტებს და განხილულია XVII საუკუნის მწერლებისა და მოღვაწეების: სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილისა და სხვა ავტორების განმანათლებლური ტენდენციები. რაც შეეხება „სულიკოს“ თარგმანებს, წიგნში შესულია 20-ზე მეტ ენაზე შესრულებული 100-მდე თარგმანი. აღსანიშნავია, რომ თარგმანების ნაწილი პირველად ქვეყნდება. წიგნმა გამოსვლისთანავე დიდი დაინტერესება გამოიწვია. ნინო პოპიაშვილის წიგნში გამოქვეყნებული თარგმანების ნაწილი რამდენიმე დღის წინ ლიტერატურულ ჟურნალში — Specimen Press — დაიბეჭდა.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის შთაბეჭდილებებსა და მის მიერ წარდგენილ წიგნებზე გვესაუბრება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნინო პოპიაშვილი*:*

— ქალბატონო ნინო, საქართველო ინტერესით ადევნებდა თვალს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის მიმდინარეობას, მაგრამ სულ სხვაა თვითმხილველის მიერ გადმოცემული ამბავი. რა შთაბეჭდილება და ემოცია გამოგყვათ ამ საზეიმო დღეებიდან?

— ამ ფესტივალს ძალიან დიდი რეზონანსი აქვს მთელს მსოფლიოში. არ მეგულება დიდი გამოცემა დასავლურ ან აღმოსავლურ სივრცეში, რომელიც არ არის წარმოდგენილი ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე. ვფიქრობ, საქართველო ბედნიერია, რომ ფესტივალის მასპინძელი ქვეყანა იყო და მას რამდენიმე მნიშვნელოვანი ტრიბუნა დაეთმო.

როგორც იცით, საქართველო წარმოდგენილი იყო მასპინძელი ქვეყნის პავილიონში, სადაც ქვეყნის წარდგენა მოხდა ქართული ანბანის მიხედვით. ეს კონცეფცია ჩემთვის, როგორც ფილოლოგის, ჰუმანიტარის, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტისთვის, ძალიან მისაღები და გასაგები იყო. საქართველოს ასევე ეთმობოდა ორი სცენა (დიდი და პატარა), სადაც მუდმივად მიმდინარეობდა ქართველი ავტორების, მათი ნათარგმნი წიგნებისა და იმ გერმანული გამომცემლების წარდგენა-პრეზენტაციები, რომლებმაც ქართველი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები გამოსცეს.

ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე იგრძნობოდა, რომ საქართველო იყო ყველგან — ფრანკფურტში და მთლიანად გერმანიაში. მოგეხსენებათ, რომ ქუჩები და მეტროებიც კი ქართული ორნამენტებით და ანბანით იყო გაფორმებული და ყველგან, მთელს ქალაქში, ქართული წიგნების პოპულარიზაცია მიმდინარეობდა. როდესაც ჩემი კოლეგები იგებდნენ, რომ საქართველოდან ვარ, მაშინვე მეკითხებოდნენ, რომელ წიგნს გვირჩევ. მაღალი იყო ინტერესი განათლებისა და მეცნიერების პავილიონის მიმართ, სადაც ცნობილი გერმანელი და ევროპელი მეცნიერები მოდიოდნენ და ინტერესდებოდნენ გამოცემებით. ვფიქრობ, საქართველოს ცნობადობა კიდევ მეტად გაიზარდა. ფრანკფურტის წიგნის ფესტივალი სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.

— როგორ გამოიყურებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ ფესტივალზე და რომელი გამოცემებით უფრო ინტერესდებოდა დამთვალიერებელი?

— სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი უნივერსიტეტი მრავალმხრივად იყო წარმოდგენილი როგორც გამოცემების, ისე პრეზენტაციების თვალსაზრისით. სამეცნიერო გამოცემების პრეზენტაციებს ძირითადად ჩვენი რექტორი, ბატონი გიორგი შარვაშიძე კურირებდა. სწორედ ის უძღვებოდა თსუ-ის წიგნების წარდგენას და შესავალი სიტყვით მიმართავდა აუდიტორიას.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ეგიდით ფრანკფურტში გაიმართა უნივერსიტეტის ერთ-ერთი კურსდამთავრებულის, ცნობილი პოეტის დათო მაღრაძის პოემის — „ჯაკომო პონტის“ პრეზენტაცია. პოემა არის თანამედროვე ქართულ რეალობაზე, თუმცა ის სცილდება ვიწრო ნაციონალურ ჩარჩოებს და აღძრავს მსოფლიო პრობლემებს, შეკითხვებსა და საკითხებს. ეს პოემა სხვადასხვა ენაზე ითარგმნა და იტალიაში დაჯილდოვდა ჯაკომო ლეოპარდის პრემიით, თუმცა, გერმანულ ენაზე თარგმნილი არ იყო და ეს პატივი მე და გერმანელ პოეტს, გერტ რობერტ გრიუნერტს გვხვდა წილად. პოემამ დიდი ინტერესი გამოიწვია გერმანულ ლიტერატურულ წრეებში და იგი ფრანკფურტში წარმოდგენილი იყო თბილისის უნივერსიტეტის ეგიდით.

ასევე აღსანიშნავია კიდევ ერთი ძალიან საინტერესო სერია ლექსიკონებისა, რომლის შედგენაშიც თსუ-ის მკვლევრები და პროფესორები მონაწილეობდნენ. ამ სერიას პირობითად დაერქვა „საბას ლექსიკონები“ და უკავშირდება სულხან საბას სახელს, რადგან ის იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ევროპისკენ ჩვენი სარკმელი გაჭრა.

„საბას ლექსიკონები“ აერთიანებს 10-ზე მეტ ლექსიკონს. ფრანკფურტში წარმოდგენილი იყო ქართულ-აფხაზურ-ინგლისური, ქართულ-ოსურ-ინგლისური, ფერეიდნული დიალექტიკური ლექსიკონი, ქართულ-ლაზური ლექსიკონი და სხვ. აქ ასევე იყო ზურაბ სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონი. ეს გამოცემები უნივერსიტეტისთვის და მთლიანად საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ენის შესწავლა, ენის მეცნიერული ანალიზი ლექსიკონებიდან იწყება. მისი შემდგენლები და ავტორები, როგორც მოგახსენეთ, დიდ წილად ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორები და მკვლევრები არიან. ლექსიკონები პოლონურმა აკადემიურმა წიგნმა გამოსცა და გავრცელების არეალიც დიდია.

— რაც შეეხება თქვენს წიგნებს, რომელიც ფრანკფურტში წარადგინეთ — ისინი ამ ფესტვალისთვის შეიქმნა თუ უკვე გამოცემული იყო და შემდეგ შეარჩიეს?

— თავდაპირველად გეტყვით, რომ საქართველოს, როგორც მასპინძელი ქვეყნის, პავილიონში გახლდათ წარმოდგენილი ჩემი და გერმანელი პოეტის გერტ რობერტ გრიუნერტის მიერ 2015 წელს გამოცემული ქართული პოეზიის ანთოლოგია გერმანულ ენაზე. ანთოლოგია აერთიანებს 80-ზე მეტ ავტორსა და 300-ზე მეტ ლექსს. ის 600 გვერდამდეა და ყველა ტექსტი ამ გამოცემისთვის პირველად ითარგმნა. ეს არის აკადემიური გამოცემა, უძღვის ჩემი და ბატონი გერტ რობერტ გრიუნერტის წინასიტყვაობები. წიგნი ასევე მოიცავს სქოლიოებს, განმარტებებს, ავტორთა საძიებელს და სხვა. ანთოლოგიას ერთვის კომპაქტ დისკი, რომელშიც თანამედროვე ავტორები თავიანთ ლექსებს ქართულ ენაზე კითხულობენ, რათა გერმანელმა მკითხველმა მოისმინოს, თუ როგორ ჟღერს ესა თუ ის ლექსი ორიგინალში.

განათლებისა და მეცნიერების სექციაში საქართველო წარმოდგენილი იყო დიდი გამომცემლობების — მაგ. ოქსფორდის, კემბრიჯის, Elsevier-ის, EBSCO-ს და სხვა სამეცნიერო გამოცემების გვერდით. ამ სექციაში გამოფენილი იყო როგორც ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის, ასევე დარგობრივი კვლევებიც, მათ შორის, ძალიან საინტერესო გეოგრაფიული ატლასი, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით გამოიცა. განათლებისა და მეცნიერების პავილიონში სხვა წიგნებთან ერთად გამოფენილი იყო აფხაზური და ოსური წიგნები, ლექსიკონები, სასწავლო და სამეცნიერო გამოცემები, მათ შორის, თსუ-ის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ გამოცემული წიგნები. ამავე სტენდზე წარმოდგენილი იყო ხელოვნებათმცოდნეობითი და მუსიკალური აღბომები, რაც ვიზუალურადაც შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. იქვე გახლდათ ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების გამოცემები სხვადასხვა ენაზე. განთავსდა ჩემი წიგნი — „სულიკო მსოფლიოს ხალხთა ენებზე“. წიგნი თსუ-ში დამუშავდა და მიეძღვნა აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს, რომელიც იუნესკოს ეგიდით აღინიშნა. ამ წიგნში თავმოყრილია 20-ზე მეტ ენაზე ნათარგმნი აკაკი წერეთლის „სულიკო“. მასში შესულია დაახლოებით 100-მდე თარგმანი — თითო ენაზე რამდენიმე. „სულიკო“, როგორც ლექსი, ლირიკული ჟანრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუშია. ამ ტექსტზე შექმნილი სიმღერა კი მსოფლიოში ძალზე პოპულარულია. წიგნი გააფორმეს ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობის თანამშრომლებმა: თამარ ებრალიძემ და ნინო ებრალიძემ. ყველა ნახატი ორიგინალურია და ამ წიგნისთვის არის შექმნილი: ვარდი, ბულბული, სხვადასხვა ორნამენტული აპლიკაციები. წიგნში თავმოყრილია მდიდარი საილუსტრაციო მასალა აკაკი წერეთლის ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან, ასევე ბარბარე (ვარინკა) წერეთელი-მაჭავარიანის ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან. მასში მოცემულია ინფორმაცია მთარგმნელების შესახებ და დართული აქვს ნოტებიც და სიმღერებიც: ვარინკა წერეთლის ნამღერი „სულიკო“, რომელიც თავის დროზე ავსტრიული ფირმის თიხის ფირფიტებზე იყო ჩაწერილი; მეჩონგურეთა ანსამბლის — დები იშხნელების მიერ შესრულებული; ფრანგულად — შანსონის ელემენტების შემცველი; გერმანელი სამხედროების ნამღერი; ჩინური ანსამბლის მიერ შესრულებული „სულიკო“ და სხვანი — ეს ყველაფერი ჩამონტაჟებულია ამ გამოცემაში და ნოტებიც არის წარმოდგენილი.

ამ წიგნში ბევრი თარგმანი პირველად ქვეყნდება, რადგან ნაწილს წიგნზე მუშაობის დროს მივაკვლიე სხვადასხვა არქივში. მათ შორის, ქართველი და რუსი კომპოზიტორების, პოეტებისა და მთარგმნელების მიერ ნათარგმნი 10-მდე თარგმანი რუსულ ენაზე, რომლებიც არ იყო გამოქვეყნებული და ხელნაწერის სახით არსებობდა. წიგნისათვის სპეციალურად ითარგმნა და პირველად ქვეყნდება სულიკო აფხაზურ, ბერძნულ, თურქულ, ესპანურ და სხვა ენებზე. ამ წიგნის მიმართ ინტერესი გამოთქვა პოლონურმა გამომცემლობამ — „პოლონურმა აკადემიურმა წიგნმა“ და ფრანკფურტისათვის გამოსცა.

ბედნიერი ვარ, რომ ფრანკფურტის წიგნის ფესტივალისთვის დაიბეჭდა ჩემი გერმანულენოვანი მონოგრაფია „ქართული გამანათლებლობა — სულხან-საბა ორბელიანი“. განათლებისა და მეცნიერების სექციის კონცეფცია იყო ის, რომ არსებულიყო ერთგვარი სერიები, ასე ვთქვათ, წიგნის თარო, რომელიც შეეხებოდა სხვადასხვა სფეროს და რომელსაც სხვადასხვა მკვლევრის, მეცნიერის წიგნები შეავსებდა. კერძოდ, ქართულ ლიტერატურას დაეთმო ერთი თარო. ეს თარო დაიწყო ჩემმა წიგნმა — „ქართული გამანათლებლობა — სულხან-საბა ორბელიანი“ (გერმანულ ენაზე), ამას მოჰყვებოდა ავტორთა კოლექტივის „ქართული რომანტიზმი — ნიკოლოზ ბარათაშვილი“, რომელიც ფრანგულ ენაზე გამოიცა, შემდეგ, ავტორთა კოლექტივის „ქართული რეალიზმის მოკლე კურსი“ (გერმანულ ენაზე) და ირმა რატიანის ინგლისურ ენაზე გამოცემული „ესეები ქართულ ლიტერატურაში“, რომელიც ახალი და უახლესი პერიოდის ქართულ ლიტერატურას ეხება. აი, ეს გამოცემები გამოვიდა სპეციალურად ფრანკფურტისთვის. აქაც პოლონურმა გამომცემლობამ — „პოლონურმა აკადემიურმა წიგნმა“ — გამოთქვა ინტერესი და ეს 4 წიგნი დაბეჭდა. ბედნიერებაა, რომ ამ სერიაში ჩემი წიგნიც არის წარმოდგენილი. ვისურვებდი, რომ ქართული ლიტერატურის თარო შეივსოს შემდეგი გამოცემებითაც. აუცილებელია, ამავე სერიით გამოვიდეს ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა, „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის საკითხები და სხვა.

— რამდენად დიდი იყო გერმანელი წიგნისმოყვარულების და ევროპული გამომცემლობების ინტერესი ქართული წიგნებისადმი?

— პირველ დღეებში (ორშაბათი-პარასკევი) მოდიოდნენ ძირითადად პროფესიონალები: დარგების სპეციალისტები, საავტორო უფლებების მქონენი, წიგნის დილერები, გამომცემლები, პროფესორები, სხვადასხვა უნივერსიტეტის გამომცემლობები და სხვები, რომლებიც გამოცემების გაცნობითა და შესწავლით არიან დაინტერესებულები და აკვირდებიან გამოცემებს. შაბათს და კვირას უფრო მეტად ვიზიტორები მოდიან — ათიათასობით და ასიათასობით სტუმარი ჰყავს ფრანკფურტის წიგნის ფესტი-

გვ. 10

FRANKFURTER BUCHMESSE

ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფრანკფურტში აჩვენა, რომ უდიდეს პოტენციალი გააჩნია

მე-9 გვ-დან

ვალს. რა თქმა უნდა, დაინტერესებაც ძალიან მაღალია.

ფესტივალის გამოძახილი და გაგრძელება იყო ისიც, რომ გერმანიის ერთ-ერთი დიდი ქალაქის, კიოლნის უნივერსიტეტისა და ლევ კოპოლევის ფორუმის მიერ გამოითქვა სურვილი, რომ ქართული პოეზიის საღამო და დათო მაღრაძის წიგნის პრეზენტაცია იქაც გამართულიყო. მე, რობერტ გრიუნერტი და ირმა შიოლაშვილი (გერმანიაში მცხოვრები ქართველი პოეტი, თსუ-ის კურსდამთავრებული) წავედით კიოლნში და იქ ჩავატარეთ ამ წიგნების პრეზენტაცია. ლევ კოპელევის ფორუმი მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის დააარსეს ცნობილმა ნობელიანტმა მწერალმა ჰაინრიხ ბიოლმა და მისმა მეგობარმა ლევ კოპელევმა, ემიგრანტმა მწერალმა და ჰუმანისტმა. ბედნიერი ვიყავი, რომ ამ საღამოზე გამოფენილი იყო საქართველოს რუკა თავის იურიდიულ საზღვრებში. ამით მათ კიდევ ერთხელ გვიჩვენეს, რომ პატივს სცემენ საქართველოს, მის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას.

სპირალური მოგზაურობა „პირველი სამოსლის“ მოსარგებად

იაგო კაჭკაჭიშვილი,
თსუ-ის პროფესორი, სოციოლოგი

2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველო მასპინძელი ქვეყანაა, რაც შესანიშნავ შესაძლებლობას აძლევს ჩვენს მწერლებს, ლიტერატორებს და, ზოგადად, კულტურაში ჩართულ ადამიანებს, მოიპოვონ გაცილებით ფართო ასპარეზი, მივიდნენ გაცილებით მეტ მკითხველამდე, მოკლედ, გასცდნენ ეროვნულ ჩარჩოებს.

გერმანულ ენაზე თარგმნილ და ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე გამოფენილ წიგნებს შორისაა გურამ დოჩანაშვილის რომანი „სამოსელი პირველი“ (გამომცემლობა Hanser Literaturverlag; მთარგმნელები: სუზანა კიმი და ნიკოლოზ ლომთაძე). ეს წიგნი ადრეული სტუდენტობის პერიოდში წავიკითხე, მაშინ მომნუსხა და იმის მერე თავს ვარიდებდი მის ხელახლა წაკითხვას, რადგან სულ მქონდა შიშნარევი განცდა, რომ ჩემი პირველი შთაბეჭდილება გაფერმკრთალდებოდა, რაც, როდესაც კი გამომიცდია, ძალიან სევდიანი ამბავია.

მიხარია, რომ ამ წიგნთან ხელახალმა ზიარებამ ჩემს ახალგაზრდულ ემოციასთან დამაბრუნა და ეს ემოცია რომანში მოთხრობილ ამბავზე სოციოლოგიური რეფლექსიით გაამდიდრა.

ქვემოთ სწორედ ასეთ — ემოციურ-სოციოლოგიური თვალით დანახულ — „სამოსელ პირველს“ გთავაზობთ.

ამ წიგნის სიუჟეტური და კონცეპტუალური ნახაზი მიჰყვება სახარების იგავს „უძღები შვილის“ შესახებ (ლუკას სახარება, თავი 15). ამდენად, წიგნს აშკარად აქვს რელიგიურ-მეტაფიზიკური განზომილება. თუმცა, ჩემთვის, როგორც სოციოლოგისთვის, მნიშვნელოვანია ამ ტექსტის სოციალური განზომილება, კერძოდ, მასში აღწერილი სხვადასხვა საზოგადოებისა და სოციალური ურთიერთობების სპეციფიკა. ეს რომანი ამ თვალსაზრისითაც უაღრესად საინტერესოა.

„სამოსელი პირველი“ ახალგაზრდა მოგზაურზეა, რომელიც ერთი ადგილიდან მეორეში გადადის. ეს არ არის უბრალოდ გადაადგილება, ეს უფრო მნიშვნელოვანი მოგზაურობაა — ყოფიერების წესის ცვლილებაა, როდესაც ყოველი ახალი ყოფიერება წინასგან გაუცხოებაა, ახალ გამოცდილებასთან ზიარებაა.

სოფლელი ბიჭის, დომენიკოს პირველი მოგზაურობა სოფლიდან ქალაქში („ლამაზ-ქალაქში“) ხდება. რა იცვლება ქალაქურ სივრცეში? სოფელში მთავარია ნათესაური კავშირები, აქ დრო თითქოს გაჩერებულია, რადგან სიახლეს, ცვლილებას, „განუზრახველ შედეგებს“ არ გულისხმობს. სოფელში დედით ობოლი დომენიკო მოწყენილია, მისი ურთიერთობა პირველადი ჯგუფის — ოჯახის წევრებთან (ძირითადად, მამასთან) და ბუნებასთან სიახლოვით შემოიფარგლება. ამ უწყვეტობას, წრეში ტრიალს, არღვევს სოფელში შემოსული და სოფლის მიერ შეკედლებული ლტოლვილი, რომელსაც თაობათა შორის უცვლელ კავშირში პირველი ბზარი შეაქვს — შვილს მამისაგან განსხვავებული („მოდერნული“) ცხოვრებისკენ უბიძგებს. უფროს თაობას აღარ ძალუძს და არც უნდა შვილების ასეთ გაუცხოებას შეეწინააღმდეგოს, პირიქით, მამა უბიძგებს და ეხმარება (ფინანსურად) კიდეც ვაჟიშვილს დამოუკიდებელ, ხიფათიან ცხოვრებაში ჩასაბმელად...

ქალაქში დომენიკო უფრო მეტად სოციალური არსება ხდება, მრავალფეროვან ურთიერთობებში იხლართება, თითქოს მისთვის სრულიად უცნობი კერძებით დახუნძლულ სუფრაზე მოხვდაო, გემოს უსინჯავს ყველაფერს — მეგობრობას, მეზობლობას, ეროტიკულ თავგადასავლებს, მუშტი-კრივს, თრობას, სიყვარულს („კაქტუსის ყვავილს“)... ჩვენს წინაშე იძერწება ქალაქელი „მრავალგანზომილებიანი“ ადამიანი, რომელიც გულუბრყვილო და მიმნდობი ახალგაზრდიდან თანდათან ქალაქელ ავანტიურისტად იქცევა და ცდილობს, რომ ფეხი აუწყოს სიჭრელეს, ცდილობს, რომ გახდეს ამბივალენტური და მრავალსახოვანი...

მოგზაური დომენიკო ურბანულ სივრცესთან ადაპტაციის სხვადასხვა გაკვეთილს „ესწრება“ და სხვადასხვა სტანდარტს ითვისებს: ისმენს დუილიოს ყალბი პათეტიკით სავსე, თუმცა ეფექტურ (ფრთიან) და ბრძნულ შეგონებებს („წყაროდან ჭიქას ნუ წამოიღებ“...), ეუფლება გამოცდილი თანაქალაქელი ამხანაგების (მაგალითად, ტულიოს) მიერ შემუშავებულ ქალთან მოქცევის (უფრო ზუსტად, ქალის „შებმის“) კოდექსს („მაშინვე რაიმე შეუქე, სხეულის რომელიმე ნაწილი, ოღონდ ფრთხილად, გამოზომილად“), ესწრება ალექსანდროს ფილოსოფიურ ლექციებს („ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობისთვის“), სწავლობს, გაარჩიოს საყვარელი და მეძავი („გლახა ქალი“) და ა.შ.

ასე თანდათან აღწევს თავს „სოფლელობას“ დომენიკო, გამოდის მამის აჩრდილის გავლენიდან და ხდება დამოუკიდებელი, გადაწყვეტილების მიმღები... რაც უფრო დამოუკიდებელი ხდება, მით უფრო სასტიკად ექცევა ცხოვრება, მით უფრო მეტ გამოცდას უწყობს. და დომენიკოც იღებს გამოწვევას — სიკვდილის მიერ წართმეულ სიყვარულს — ანა-მარიას (რომელიც „ქალი იყო, მაგრამ შველს ჰგავდა“) — კიდევ უფრო დიდი განსაცდელით უპასუხებს და ბოროტების ქალაქში — კამორაში მიდის...

კამორა დიდი საპყრობილეა, ამქვეყნიური ჯოჯოხეთი, სადაც კაცის კვლა, ღალატი, ტყუილი, ძარცვა, ტკივილის მიყენება ნორმაა, ხოლო ერთგულება, ზრუნვა, სიყვარული, თანაგრძნობა და სიკეთე — ანომია. ასეთ სივრცეს აუცილებლად სჭირდება ხისტი იერარქია და ძალაუფლების ვერტიკალური განაწილება, სადაც ვერტიკალის წვერის — ბელადის (მარშალ ბეტანკურის) და მისი გარემოცვის თვითნებობაზე და მათ მიმართ უპირობო მორჩილებაზეა აგებული ძალადობის სასტიკი სისტემა. აბსოლუტური მორჩილება მხოლოდ ტოტალური შიშის — სიკვდილის შიშის ფონზე მიიღწევა. ასეთ ტოტალურ შიშსა და მორჩილებაში ეხვევა მგზავრი დომენიკო, თუმცა რაღა დომენიკო — კამორის ბელადთა (სამხედრო დიქტატორთა) ბატონობის საცეცები სხვა ქალაქებსა და სოფლებსაც სწვდება და ადამიანებს იმონებს და მათით დასახლებულ ადგილებს იტაცებს.

მიუხედავად ამისა, მონობა და ჩაგვრა არ შეიძლება იყოს მარადიული, რადგან ის ადამიანის ბუნებას, მისი არსებობის ძირითად მოდუსს ეწინააღმდეგება. ეს მოდუსი — თავისუფლებაა. დაპყრობილ ადამიანებში თანდათან იღვიძებს თავისუფლების წყურვილი და, შესაბამისად, პროტესტის და ჯანყის განცდა მოძალადეების მიმართ. ეს არ არის მხოლოდ პიროვნული (ინდივიდუალური) თავისუფლების გადარჩენა; ინდივიდუალური თავისუფლება შეუძლებელი თუ არა, ნაკლოვანია თავისუფალი სამშობლოს, საკუთარი მიწის გარეშე. თავისუფლების ასეთი ჰოლისტური განცდა ჯერ ზნეობრივ გმირებში (მენდეს მასიელი და მისი თორმეტი მოციქული) იღვიძებს, ისინი გამოდიან კამორელების მიერ ოკუპირებული ზონიდან და „აღთქმული ქალაქის“ — კანუდოსის აშენებას იწყებენ. ეს პროცესი თანდათან მასობრივი ხდება და მასში მთავარი მოგზაურიც, დომენიკოც ერთვება. კანუდოსი, თიხის თეთრი ქალაქი, თანასწორობის, შეთანხმების, ურთიერთდახმარებისა და სიყვარულის ველია („იქ ადამიანები ძმებივით არიან და თანაბრად იყოფენ ყველაფერს“).

თუმცა, თავისუფლებაც მსხვერპლს მოითხოვს, ეს თითქოს წინასწარ დაანონსებული, გამიზნული მსხვერპლშეწირვაა, თავისუფალ ადამიანთა ცნობიერი არჩევანია („სხვის მიწაზე მშვიდად მიცვალებას, საკუთარი ხელით ანაგები სამშობლოსათვის დაცემა გვიჯობს — საამაყო... სიხარულია..“). კანუდოსი ეცემა კამორელებთან უთანასწორო ბრძოლაში, თუმცა, ეს მარცხი უკან, მონობაში დაბრუნებას არ ნიშნავს, თავისუფლების გემო ნაგრძნობია და ახალ თვისებრიობაში გადასული ადამიანები თანასწორობის დესპანებად იქცევიან დედამიწაზე. ასეთ დესპანად იქცევა დომენიკოც, რომელიც მის მიერ უარყოფილ სოფელში, მამასთან ბრუნდება. ბრუნდება უზარმაზარი გამოცდილებით დატვირთული, როგორც განმანათლებელი, რომელსაც ისტორიული კანონზომიერება (დროის მანქანა, ბედი), როგორც ძირითადი „მამა-მშობელი“, მთავარ „სამოსელს“ აძლევს, ეს „სამოსელი პირველი“ არის სიტყვა („მე მოგცემ სიტყვას შენ, დომენიკო ... სამოსელი პირველია სიტყვა ... მრავალ ქვეყანას აგაშენებინებს“).

ასეთია წიგნში აღწერილი სპირალური მოგზაურობა — წინამოდერნულობიდან მოდერნულობამდე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს რომანი გურამ დოჩანაშვილმა 1966-78 წლებში დაწერა, საბჭოთა საქართველოს ხანაში, როდესაც ცნებები — „ეროვნული დამოუკიდებლობა“, „პიროვნული თავისუფლება“, „რწმენის თავისუფლება“ „თანასწორობა“ და ა.შ. — აკრძალული და შერყვნილი ცნებები იყო. ამდენად, დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს წინაშეა დისიდენტური რომანი, რომელიც, გარკვეული აზრით, წინასწარმეტყველური აღმოჩნდა და დღეს, საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა (1991 წლიდან), სწორედ ზემოაღნიშნული პრინციპების, როგორც „პირველი სამოსლის“, მორგებას ცდილობს.

გურამ დოჩანაშვილი და ალექსანდრე კარტოზია ფრანკფურტში

 კონფერენცია

საერთაშორისო კონფერენცია – „გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები“

მაია ტორაძე

19-21 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტმა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას — „გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები“ — უმასპინძლა. კონფერენცია მიეძღვნა თსუ-ის საუკუნოვან იუბილესა და ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავს.

კონფერენციის გახსნით სხდომაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ნუნუ ოვსიანიკოვამ ფოლკსვაგენის თანადაფინანსებით გახსნილ საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა „მათემატიკის“ ფარგლებში მიმდინარე საერთაშორისო სკოლის ლექტორებს, მონაწილეებს და კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოებას მიმართა: „50 წლის უკან საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერის ილია ვეკუას ინიციატივით უნივერსიტეტის კედლებში დაარსდა გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც დღეს დამაარსებლის სახელს ატარებს. თავის დროზე ინსტიტუტის შექმნას საფუძვლად დაედო კომპიუტერული ტექნიკის და კვლევის ახალი ტენდენციების ინტენსიური განვითარება, ქართველი მათემატიკოსებისა და მექანიკოსების მსოფლიოში აღიარებული წარმატებები, მიზანი კი იყო სამეცნიერო კვლევისა და სასწავლო პროცესის ინტეგრაცია. ინსტიტუტმა მალევე მოიპოვა სახელი, როგორც ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა სამეცნიერო კერამ. დღეს აქ, ინსტიტუტის სამეცნიერო პროგრამებისა და საერთაშორისო თუ ადგილობრივი გრანტების (პროექტების) ფარგლებში, მიმდინარეობს გამოყენებითი მათემატიკის აქტუალური პრობლემების კვლევა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების, დოქტორანტების და მაგისტრანტების ერთობლივი ჩართულობით. ინსტიტუტში აღზრდილი მკვლევრები წარმატებით აგრძელებენ მუშაობას თავად ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში. ბევრი მათგანი წარმატებით მუშაობს საზღვარგარეთის და საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებშიც. მინდა, შემდგომი წარმატებები ვუსურვო ინსტიტუტის კოლექტივს“, — აღნიშნა ნუნუ ოვსიანიკოვამ.

დამსწრეთ უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის იუბილეები მიულოცეს და არსებულ კონტაქტებზე ისაუბრეს ევროპის მათემატიკური საზოგადოების პრეზიდენტმა პროფესორმა პაველ ექსნერმა (ჩეხეთი), სადოქტორო პროგრამა „მათემატიკის“ დირექტორმა, გიოტინგენის უნივერსიტეტის პროფესორმა რალფ მაიერმა (გერმანია), რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტის პროფესორმა ფლავია ლანძარამ (იტალია), ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა დიტმარ კრიონერმა (გერმანია), ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორმა რაინჰოლდ კინცლერმა, მაგდებურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰოლმ ალტენბახმა (გერმანია), ბაზილიკატას უნივერსიტეტის პროფესორმა ალბერტო ჩალდეამ (იტალია).

ბუქარესტის უნივერსიტეტის პროფესორმა, რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის სიმიონ სტოილოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა ლუსიან ბეზნეამ, იუბილეებთან დაკავშირებით, საპატიო დიპლომები გადასცა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ნუნუ ოვსიანიკოვას და ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ გიორგი ჯაიანს. ამ უკანასკნელს გადაეცა, აგრეთვე, 59-ე საერთაშორისო მათემატიკური ოლიმპიადის მედლის (კლუჟი, რუმინეთი, 2018) სასაჩუქრე ასლი. თსუ-ის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა რამაზ აბესაძემ ინსტიტუტს საიუბილეო ადრესი გადასცა.

კონფერენციის გახსნით სხდომაზე თსუ-ის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გიორგი ჯაიანმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „თსუ-ის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი — 50“, ხოლო პროფესორმა თამაზ თადუმაძემ — „მათემატიკა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“.

პლენარული მოხსენება გაკეთა ევროპის მათემატიკური საზოგადოების პრეზიდენტმა პროფესორმა პაველ ექსნერმა (ჩეხეთი). კონფერენციის საზეიმო გახსნის შემდეგ უნივერსიტეტის სტუდენტური ფოლკლორული ანსამბლების „გორდელას“, „თბილისის“ და ქართული ცეკვების ქორეოგრაფიული ანსამბლის მონაწილეობით კონცერტი გაიმართა.

კონფერენციის შემდეგი სხდომები ჩატარდა თსუ-ის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში. კონფერენციის თემატიკა მოიცავდა: უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემებისა და ანალიზის მონათესავე საკითხების, მათემატიკური მოდელირებისა და გამოთვლითი მათემატიკის, დისკრეტული მათემატიკისა და ალგორითმების თეორიის, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის აქტუალურ პრობლემებს.

კონფერენციის მონაწილე უცხოელი მეცნიერები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ მაღალ დონეზე ჩატარებული საიუბილეო კონფერენციის გამო და აღნიშნავდნენ, რომ ამგვარ კონფერენციებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ სამეცნიერო საზოგადოების შიგნით კავშირების გაღრმავებისა და სიახლეების გაცნობის თვალსაზრისით. „უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვეცნობით კოლეგების საქმიანობას, ვუზიარებთ ერთმანეთს სიახლეებს და ხშირად კონფერენცია გვევლინება ახალი სამეცნიერო ნაშრომების ინსპირაციის წყაროდ. ჩვენი თბილისში ჩამოსვლის მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ორმაგი იუბილე. ეს ორი თარიღი — 1918 და 1968 — სამუდამოდ ჩაიწერა ისტორიაში. ჩვენ, ევროპული მათემატიკური საზოგადოების წარმომადგენლები, მუდმივად ვთანამშრომლობთ საქართველოსთან და თსუ-ის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტთან, რომლის მიერ ორგანიზებული კონფერენციები ძალიან მაღალ შეფასებას იმსახურებს. ყველასთვის არის რაღაც ახალი ამ კონფერენციაზე. მაგალითად, მე ძალიან მომეწონა ჩემი იტალიელი კოლეგის, ფლავიო ლანძარას მოხსენება/ნაშრომი. ასევე სიახლე აღმოვაჩინე სხვადასხვა მოხსენებაში. საინტერესო და ყველაზე მთავარია ის, რომ მონაწილეებს აქვთ შესაძლებლობა, გაეცნონ და შეაფასონ სხვების ნაშრომები. პირველად თბილისში 1985 წელს ვიყავი. მას შემდეგაც ბევრჯერ ვეწვიე, როგორც მეცნიერი და როგორც ტურისტი“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში პაველ ექსნერმა.

ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორმა რაინჰოლდ კინცლერმა განსაკუთრებით გამოკვეთა საქართველო-გერმანიას შორის სამეცნიერო კავშირების მნიშვნელობა და ქართველ და გერმანელ მათემატიკოსთა შორის არსებული მძლავრი კვლევითი ტრადიციები, რომლის გაღრმავებას ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები და ხელმძღვანელი — პროფესორი გიორგი ჯაიანიც უწყობენ ხელს. „ეს კონფერენციები საქართველოში უკვე დიდი ტრადიციაა. 1990-1991 წლებიდან დაიწყო კოლაბორაცია ბრემენისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის. აუცილებლად მინდა აღვნიშნო ჩვენი მეგობრული ურთიერთობა და ამისთვის განსაკუთრებული მადლობა გადაგიხადოთ. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საქართველოს მათემატიკოსთა კავშირთან. ამგვარი საერთაშორისო კონფერენციები კი დადებითი მოვლენაა, რადგან ყველა გლობალური მეცნიერების ნაწილი ვართ. ადვილი არ არის საერთაშორისო სიმპოზიუმების ორგანიზება. ეს ყველაფერი აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს და ითვალისწინებს კომუნიკაციას არა მხოლოდ დაწესებულებებს, არამედ მეცნიერთა შორისაც. მომავალში დაგეგმილია კონფერენცია ბრემენში. უპირველეს ყოვლისა, ეს იქნება ქართულ-გერმანული მეგობრობის კვირეული და ჩართული იქნება სხვადასხვა კომპონენტი, მათ შორის, ჩვენი ქვეყნების მეგობრობასა და თანამშრომლობასთან დაკავშირებული შეხვედრებიც. ამ კონფერენციაზე შევეხებით საქართველოსა და გერმანიაში არსებულ სწავლების მეთოდიკას (რა არის მსგავსი და რა — განსხვავებული). ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველო გახდა international union of theoretical and applied mechanics-ის წევრი“, — განაცხადა მან.

კონფერენციაზე მოისმინეს 15 პლენარული მოხსენება, მათ შორის, 5 მოხსენება ქართველმა მეცნიერებმა გააკეთეს. სექციურ სხდომებზე მოხსენებით გამოვიდა 2 დოქტორანტი: სევინი ალიევა (აზერბაიჯანი) და ლაშა ბარამიძე (საქართველო).

კონფერენციის დახურვის სხდომაზე გაწეული მუშაობა შეჯამდა. უცხოელი მონაწილეების სახელით კონფერენციის ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა პროფესორმა დიტმარ კრიონერმა. მან ხაზი გაუსვა ურთიერთსასარგებლო დისკუსიებს და კონფერენციის მაღალ დონეს, როგორც ორგანიზაციული, ასევე სამეცნიერო თვალსაზრისით. კონფერენციის მონაწილეებს გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 50 წლისთავის აღსანიშნავად გამოშვებული მედლები გადაეცათ.



გეოლოგების ექსპედიცია მდინარე დურუჯის ხეობის შესასწავლად

ნატო ობოლაძე

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია წელს კახეთში მოეწყო. სტუდენტებმა გეოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ ბეჟან თუთბერიძისა და ასოცირებული პროფესორების გურამ ქუთელიასა და კარლო აქიმიძის ხელმძღვანელობით მდინარე დურუჯის ხეობა შეისწავლეს და რეალურად იხილეს ის, რაც მათ სასწავლო პროგრამის ფარგლებში თეორიულად უკვე შესწავლილი ჰქონდათ.

ბეჟან თუთბერიძე

კარლო აქიმიძე



მდინარე დურუჯი ალაზნის მარცხენა შენაკადია, გაედინება ქალაქ ყვარელზე და აერთიანებს შავ და თეთრ დურუჯს. მისი სიგრძე 27 კილომეტრია, აუზის ფართობი კი — 103 კილომეტრი. მდინარე დურუჯი ხასიათდება წყალმოვარდნებით, ღვარცოფებით, რის გამოც არაერთხელ შეუქმნა საფრთხე ყვარლის მოსახლეობას. დადგენილია, რომ ბოლო 100 წლის განმავლობაში მდინარე დურუჯის ღვარცოფულ გამონატანს 200-მდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, რის გამოც მისი კალაპოტისა და სათავის კვლევას, დროულად უსაფრთხოების შესაბამისი ზომების მიღებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

„დურუჯი ღვარცოფების თვალსაზრისით, საქართველოს მასშტაბით, ყველაზე პრობლემატური მდინარეა. ჩვენი მიზანი იყო — დაგვეთვალიერებინა მდინარის კალაპოტი და მოსახლეობის დაცვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებები გაგვეტარებინა. ამ ექსპედიციის ფარგლებში ვნახეთ, თუ როგორ არის აწეული კალაპოტი სათავეებიდან ჩამოტანილი მასალით — დაახლოებით 7-8 მეტრით უფრო მაღლაა, ვიდრე ქალაქი ყვარელი. ამის მიზეზია მდინარის სათავეებში ძირითადი ქანების ეგზოგენური პროცესების შედეგად მონგრეული მასალის დაგროვება და შემდგომში მათი დიდი სისწრაფით გადაადგილება კლდოვან ციცაბო ფერდობებზე. შედეგად ვითარდება ძლიერი ღვარცოფული პროცესები, რაც დიდი საფრთხის შემცველია ქალაქ ყვარლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიისთვის.

ამ დროისთვის ხელისუფლებისგან მდინარე დურუჯს დიდი ყურადღება ეთმობა, მდინარის კალაპოტი გაწმენდილი დაგვხვდა და მდინარის ნაკადი, ქალაქისგან საპირისპირო მხარეს, მთის კიდისკენ არის მიმართული. პირველად, დურუჯისგან ყვარლის დაცვის მიზნით დამბები ილია ჭავჭავაძემ გააკეთებინა, რომლებიც ახლაც არის შემორჩენილი. მას ილიას დამბებს უწოდებენ. სტუდენტებმა დურუჯის ხეობა, ექსპედიციის ფარგლებში, გეოლოგიური პროფილით გამოიკვლიეს“, — განაცხადა პროფესორმა ბეჟან თუთბერიძემ.

„მდინარე დურუჯის ხეობაში გასულ წელსაც გახლდით და მას შემდეგ კალაპოტის გაწმენდის მიზნით საკმაოდ დიდი სამუშაოებია შესრულებული. ცნობილია, რომ ღვარცოფული მოვლენები დურუჯის აუზში არაერთხელ (1889, 1904, 1949, 1990, 2002 წწ.) არის აღნიშნული. ჯერ კიდევ 1904 წელს ღვარცოფმა თითქმის ნახევარი ყვარელი დაფარა, რის შემდეგაც ილია ჭავჭავაძის თაოსნობით აშენდა აქამდე შემორჩენილი ჯებირი. ყველაზე ძლიერი ღვარცოფი კი 1949 წელს მოვარდა, რომელმაც ზევიდან გადაუარა ილიასეულ ჯებირს და თავს დაატყდა ყაზარმას, რომელშიც 1941-45 წ.წ. ომის დროს ბერლინის აღებაში მონაწილე სამხედრო-საავიაციო ნაწილი იყო განლაგებული. სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში სტიქიამ 56 ადამიანის, მათ შორის, 54 პილოტის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ამ დროისთვის კალაპოტი შედარებით გათავისუფლებულია, მდინარე ყვარელს დასავლეთით უვლის, საშიშროება შედარებით მცირეა. სტუდენტებმა, ამ ექსპედიციის ფარგლებში, ნახეს სელის წარმომშობი გეოლოგიური ფაქტორები. მიღებული ინფორმაცია უნდა გაანალიზონ, მოხსენებებში ასახონ და სამეცნიერო კონფერანციაზე წარმოადგინონ“, — განაცხადა გეოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა კარლო აქიმიძემ.

გეოლოგიის დეპარტამენტის სამეცნიერო-კვლევითი წრის სტუდენტები ექსპედიციაში ყოფნისას მიღებულ ინფორმაციასა და კვლევის შედეგებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 78-ე სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოადგენენ.

„ჩვენი მიზანი იყო დურუჯის ხეობაში სელური, ღვარცოფული პროცესების ნახვა. ექსპედიციაში ყველა კურსის სტუდენტი მონაწილეობდა, თითოეული საკუთარი სასწავლო პროგრამიდან გამომდინარე აკვირდებოდა იქ არსებულ ვითარებას. ჩამოვიტანეთ სინჯები... ვაპირებთ გამოვიკვლიოთ — კონკრეტულად რა ქიმიური და ფიზიკური გარდაქმნები განაპირობებენ მდინარე დურუჯის ღვარცოფებს“, — აღნიშნა გეოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი წრის ხელმძღვანელმა, IV კურსის სტუდენტმა დავით ცუცქირიძემ.

„ორდღიანი ექსპედიცია საკმაოდ ნაყოფიერი იყო ჩვენთვის. რეალურად ვნახეთ ის, რაც სასწავლო პროგრამის ფარგლებში თეორიულად ვისწავლეთ“, — გვითხრა გეოლოგიის დეპარტამენტის II კურსის მაგისტრანტმა ზურაბ ჩილინგარაშვილმა.

„ცნობილია, რომ მდინრე დურუჯის ღვარცოფული გამონატანი თავისი შედგენილობით ქმნის შესანიშნავ პირობებს ქინძმარაულის ყურძნის სავარგულების მოსაშენებლად. ამ მიზნით დურუჯის ღვარცოფული გამონატანიდან აღებულ ნიმუშებში ვაპირებთ დეტალური მინერალოგიური და პეტროქიმიური კვლევების ჩატარებას“, — განაცხადა გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ბეჟან თუთბერიძემ.

გეოლოგიის დეპარტამენტის ექსპედიცია მდინარე დურუჯზე 20-21 ოქტომბერს გაიმართა. უშუალოდ ხეობის დათვალიერება-შესწავლის გარდა, სტუდენტებმა მოინახულეს არქეოლოგიური მასალები უჯარმაში, მცოცავი მეწყერები გომბორში, დაათვალიერეს თელავისა და მეფე ერეკლეს მუზეუმები, მოინახულეს გრემისა და ალავერდის სამონასტრო კომპლექსები.

საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი თსუ-სა და აკადემიაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 27 სექტემბერს გაიმართა II საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, რომელშიც ქართველებთან ერთად უცხოელი მეცნიერებიც მონაწილეობდნენ.

კონგრესზე წარმოდგენილი იყო ქართველოლოგიის ყველა ძირითადი მიმართულება (ქართული ენა, ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ქართული ხელოვნების ისტორია). კონგრესზე იმუშავა ენათმეცნიერების, ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და რელიგიის, საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების სექციებმა.

თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის განცხადებით, კონგრესზე მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ ადამიანები, რომლებსაც უყვართ საქართველო და საქართველოს თემატიკაზე მუშაობენ. მნიშვნელოვანია, რომ კონგრესი თსუ-ის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა. შესაბამისად, მეცნიერებათა აკადემიაში დაწყებული ღონისძიება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაგრძელდა. ქართველ და უცხოელ მეცნიერებს საშუალება ჰქონდათ კონგრესზე წარმოედგინათ საკუთარი კვლევები, გასცნობოდნენ ქართველოლოგიის სფეროში არსებულ სიახლეებს“.

კონგრესზე, ქართველ კოლეგებთან ერთად, მოხსენებით წარსდგნენ აშშ-ის (მასაჩუსეტსი), დიდი ბრიტანეთის (ლონდონი), გერმანიის (ბერლინი), საფრანგეთის (პარიზი), იტალიის (ვენეცია), შვედეთის (მალმო), სლოვაკეთის (ბანსკა-ბისტრიცა), რუსეთის ფედერაციის (მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი, სოჩი, დონის როსტოვი, გროზნი, მაგასი), იაპონიის (ტოკიო), ისრაელის (იერუსალიმი), აზერბაიჯანის (ბაქო) წამყვანი სამეცნიერო დაწესებულებების მეცნიერები.

„ძალიან საინტერესო კონგრესია. მისმა პროგრამამ ნამდვილად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. აქ არიან უცხოელი კოლეგები, ძველი მეგობრები. ეს არის შეხვედრის ადგილი იმ მკვლევრებისა, ვინც ქართველოლოგიის სხვადასხვა სფეროში მუშაობს“, — აღნიშნა მალმოს (შვედეთი) უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ქრისტინა ვამლინგმა.

„ქართველოლოგიურ კონგრესს უკვე მეორედ ატარებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. დღეს, დაახლოებით, 30 ქვეყნის ქართველოლოგია ჩამოსული. კონგრესზე ვაჯამებთ საქართველოში მოღვაწე ქართველოლოგების ნამუშევრებს, ვიწვევთ უცხოელ ქართველოლოგებს და გარკვეულ მიმართულებებს ვაძლევთ სამომავლო კვლევებისთვის. ბევრ მეცნიერს ძალიან საინტერესო ნაშრომი აქვს და



ჩვენ ეს გვამდიდრებს. ვფიქრობთ, რომ ამ კონგრესს დიდი შედეგის მოტანა შეუძლია, რადგან ის მოწოდებულია ქართული კულტურის, ქართული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის“, — განაცხადა კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა.

ფორუმი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის, მეტნაკლებად, სრულ წარმოდგენას იძლევა სამამულო და საზღვარგარეთული ქართველოლოგიის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. კონგრესი, რომლის ორგანიზატორები თსუ-ის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია იყვნენ, 28 სექტემბერს დასრულდა.

ქართველოლოგიური ჯერები თურქეთში

ორმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია გიორგი შარვაშიძესა და ნიგარ დემირჯან ჩაჭარს შორის

თურქეთი, რომელიც ევროკავშირში შესასვლელად ემზადება და, შეიძლება ითქვას, უკვე მის ზღურბლზეც კი დგას, ითვალისწინებს ევროკავშირის მოთხოვნებსა და სტანდარტებს. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ქვეყნის მმართველი მთავრობის პოლიტიკური კურსის მიხედვით ყურადღება მიექცა თურქეთში არსებულ ენებსა და დიალექტებს, რის შედეგადაც რეგიონალურ უნივერსიტეტებში გახსნეს ქურთული, ჩერქეზული და ქართული ენებისა და ლიტერატურის განყოფილებები. თურქეთში ბილქენთის უნივერსიტეტში მუშაობის 10 წლის განმავლობაში კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე ჩემს გამოსვლებს ყოველთვის ამ წინადადებით ვასრულებდი: ,,ჩვენ უკვე დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, რომელიც თურქეთის კარის მეზობელია ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან. ჩვენი დამოუკიდებლობა სხვა ქვეყნებთან ერთად ერთ-ერთმა პირველმა თურქეთმა ცნო. თუ საქართველოში 1944 წლიდან დღემდე არსებობს ძლიერი თურქოლოგიური სკოლა, ხოლო ბოლო პერიოდში სწრაფი ტემპით გაძლიერებულად ისწავლება თურქული ენა, თურქეთის უნივერსიტეტებში რატომ არ უნდა არსებობდეს ქართველოლოგიის განყოფილება, ცენტრი ან თუნდაც პატარა კათედრა?! სიმართლე უნდა ითქვას, ჩემი ეს მოთხოვნა ხშირად პროვოცირებული იყო თვით თურქი მეცნიერების მიერ, როგორებიც არიან „თურქული ლინგვისტური საზოგადოების“ მაშინდელი თავმჯდომარის მოადგილე პროფ. ჰამზა ზულფიქარი და შემდგომში თავმჯდომარე პროფ. ჰალუქ შუქრი აკალინი. ისინი ხშირად თვითონ მახსენებდნენ, რომ არ გამომრჩენოდა ეს მოთხოვნა. დღიდან საქართველოს საელჩოს გახსნისა თურქეთში, დაწყებული პირველი ელჩით აწ განსვენებული ბატონი ნოდარ კომახიძით და მოყოლებული დანარჩენი ელჩებით, ეს მოთხოვნა ყოველთვის იდგა დღის წესრიგში. და აი, მრავალწლიანმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, ნაბიჯ-ნაბიჯ გადაილახა ბიუროკრატიული აპარატის ყველა საფეხური და პირველად თურქეთ-საქართველოს ისტორიაში მოხდა უპრეცედენტო ფაქტი: 2005 წელს ყარსის უნივერსიტეტში გაიხსნა ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება, ხოლო 2006 სასწავლო წლიდან მან სტუდენტებიც მიიღო. ეს იყო ქართველი და თურქი დიპლომატების, მეცნიერების, ქართველი თურქოლოგების და განათლების მუშაკების უდავოდ დიდი წარმატება. ცოდვა გამხელილი ჯობია და ეს ჩვენი მოთხოვნა კიდევ არა ერთი ათეული წელი ივლიდა ბიუროკრატიული აპარატის სხვადასხვა საფეხურიდან საფეხურზე, რომ არა (ამას ხაზგასმით ვამბობ) დღევანდელი თურქეთის მთავრობის რადიკალურად შეცვლილი პოლიტიკური კურსი თურქეთში არსებული ადგილობრივი ენებისა და დიალექტების მიმართ.

გავიდა სულ რაღაც 10 წელი და თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროს 2014 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით, თურქეთის საშუალო და სასულიერო სკოლებში არჩევით საგნად დაუშვეს ქართული ენის სწავლება. მშობელთა სურვილის შემთხვევაში (სულ ცოტა 10-12 მშობელი) შვილებმა არჩევით საგნად შეუძლიათ ისწავლონ ქართული. გარდა ქართული ენისა, მანამდე სკოლებში შემოიღეს ქურთულის, ჩერქეზულის, ლაზურისა და აფხაზური ენების სწავლება არჩევით საგნად. ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა მეტად ხანგრძლივი და დამღლელი პროცესი. თავდაპირველად ქართველი სპეციალისტების მიერ მომზადებულმა პროგრამამ ვერ გაიარა აკრედიტაცია. ამიტომ დიასპორის სამინისტროს დაკვეთით კოლეგა თამარ ალფენიძესთან ერთად თურქულიდან ქართულად ვთარგმნეთ პროგრამები ჩერქეზული და აფხაზური ენებისათვის, რათა ჩვენს სპეციალისტებს საშუალება ჰქონოდათ შედარებისა. ქევსერ რუჰისა (ქეთევან ხანთაძე) და ელდარ ქუჩუქის (ელიზბარ ციკნარიძის) მიერ შემდგომ ეტაპზე ქართული ენისათვის მომზადებული პროგრამა დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. ჯერჯერობით მთელი თურქეთის მასშტაბით ორ რაიონში ჰქონდა დადებითი გამოძახილი ამ წამოწყებას. მარმარილოს აუზის საქარიის პროვინციის სოფ. ნუროსმანიეში და ართვინის ვილაეთის დაბა მურღულში სკოლებში წარმატებით ისწავლება ქართული. მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველების პლატფორმის წევრის მუსტაფა კოლატის (კოლოტაშვილის) განცხადებით, სოფელ ნურუოსმანიეში მშობლებთან შეხვედრის შედეგად 30 მშობელმა განცხადება შეიტანა სკოლაში და აირჩია ქართული ენა. მუსტაფა კოლატის (კოლოტაშვილის) სკოლის დირექტორთან და რაიონის განათლების განყოფილების გამგესთან შეხვედრებმა ასეთი სასიხარულო შედეგი მოგვცა. ართვინის პროვინციის დაბა მურღულის საშუალო სკოლაში 4 წელია შეუწყვეტლივ ისწავლება ქართული ენა. ამ სასწავლო წელს ისინი 23 მოსწავლით შეხვდნენ. გარდა ამისა, დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციაში 2014 წლიდან მოქმედებს ქართული ენის კურსი, სადაც ქართულს დუზჯეს უნივერსიტეტის ქართველი მასწავლებლები ასწავლიან. 2014-2015 სასწავლო წელს ქართული ენის კურსი ფუნქციონირებდა საქარიის პროვინციის ცენტრში, ადაფაზარში. წელს დუზჯეს პროვინციის სოფ. აიდინფინარში ადგილობრივი მოსახლეობის თაოსნობით ერთდროულად გაიხსნა ჩერქეზული და ქართული ენის კურსები. ქართული ენის კურსებზე ირიცხება 35 ახალგაზრდა, წარმოშობით ქართველები. ეს ისინი არიან, ვინც წელს ზაფხულში ანაკლიის ბანაკში დაისვენეს და იქიდან საქართველოზე უზომოდ შეყვარებულები დაბრუნდნენ. ახლა მათ სურვილი აქვთ ისწავლონ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა. მასწავლებელი — ასოც. პროფ. ნანა კაჭარავა. სტამბოლის ბოსფორის უნივერსიტეტიდანაც მოვიდა სასიხარულო ცნობა. იქაც გრძელდება ქართულის სწავლება არჩევით საგნად, მასწავლებელი — ქ-ნი მანანა გურგენიძე.

დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები დეკანთან და საქართველოს ელჩთან ერთად

დუზჯეს უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის განყოფილება, ქართველი და ჩერქეზი პედაგოგები

დუზჯეს უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ნიგარ დემირჯან ჩაჭარი

ქართულმა საზოგადოებამ უკვე იცის, რომ თურქეთის 4 უნივერსიტეტში (ყარსის, არდაჰანის, რიზესა და დუზჯეს) გახსნილია ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებები. ართვინის უნივერსიტეტის წესდება ითვალისწინებს კავკასიოლოგიის განყოფილების გახსნას, მაგრამ, ჯერჯერობით, ამ მიმართულებას ფუნქციონირება არ დაუწყია.

ყარსის კავკასიის სახელობის უნივერსიტეტმა, როგორც რეგიონალურმა უნივერსიტეტმა, იტვირთა „პირველი მერცხლის“ ფუნქცია, ანუ პირველმა გახსნა ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება. უკვე 13 წელია, რაც იგი ფუნქციონირებს და, ამჟამად, ოთხივე კურსზე სწავლობს 50-მდე სტუდენტი. განყოფილებაში მუშაობს 3 პედაგოგი. ერთი — მესხეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მაია მესხიძე, რომელმაც მაგისტრის ხარისხი ანკარის უნივერსიტეტში მოიპოვა, ხოლო, ამჟამად, უკვე დაცვის სტადიაშია მისი სადოქტორო თემა ერზურუმის უნივერსიტეტში. იგი არაჩვეულებრივად ფლობს თურქულ ენას, რაც ასე საჭიროა სწავლების პროცესში. მეორე მასწავლებელია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ ხვედელიანი, რომელიც მანამდე შოთა რუსთაველის სახ. თბილისის ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა; მესამე მასწავლებელი ყარსის კავკასიის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების კურსდამთავრებული სუდან ალთუნია. მან მაგისტრის ხარისხი მოიპოვა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ახლა შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტია.

2016 წელს მაისში ყარსის უნივერსიტეტში აღინიშნა ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების დაარსების 10 წლისთავი; ჩატარდა პოეზიის საღამო, გაჭრეს უზარმაზარი ტორტი წარწერით: „ჩვენ უკვე 10 წლისანი ვართ“. მათ ამ ხნის განმავლობაში აღზარდეს 9 თაობა, უკვე 9 გამოშვება ჰქონდათ. პირველად ყარსის უნივერსიტეტში დაინერგა 5-წლიანი სწავლება. სტუდენტები ჯერ გადიოდნენ მოსამზადებელ კურსს, რის შემდეგაც ტარდებოდა გამოცდა და ვინც გადალახავდა საჭირო ბარიერს, ხდებოდა სტუდენტი და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა ბაკალავრიატის 4 წლიან განათლებას. ამჟამად ეს წესი გაუქმებულია ყარსის უნივერსიტეტში, ისევე, როგორც თურქეთის სხვა რეგიონის უნივერსიტეტებში, ამოქმედებულია ბაკალავრიატის 4 წლიანი განათლება ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ყარსის მეზობელი ვილაეთია არდაჰანი, ისტორიული არტაანი. აქაური ახალგაზრდა უნივერსიტეტი 2008 წლიდან არსებობს და სტუდენტების მიღებამდე უკვე ჰქონდა საუნივერსიტეტო წესდებაში შეტანილი ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების გახსნა. პედაგოგები გახლავთ: მესხეთის უნივერსიტეტის პროფესორი როინ ყავრელაშვილი; პროფესორი შურედინ მემედლი და დოცენტი გულნარა გოჯაევა-მემედოვა. ეს ორი უკანასკნელი თბილისის სულხან-საბას სახ. უნივერსიტეტის აზერბაიჯანული ენის კათედრის ყოფილი მასწავლებლები არიან. არტაანში ოთხივე კურსზე სულ 20 სტუდენტი ჰყავთ და ოფიციალურად მათ ჰქვიათ არდაჰანის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარული ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება.

მეზობელ რიზეს პროვინციაში გახსნილია რეჯებ ტაიფ ერდოღანის სახ. რიზეს უნივერსიტეტი, სადაც 2011 წლიდან არსებობს ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა. პირველი პედაგოგი, რომელიც აქ დაინიშნა, გახლავთ პრივატ-დოცენტი ჰარუნ ჩიმქე. მისი ძალისხმევით 2015 წლის იანვარში საქართველოდან მოწვეულ იქნა ორი სპეციალისტი: ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი რუსუდან საღინაძე, რომელიც ჰარუნ ჩიმქეს აღმზრდელი მასწავლებელია, ჩამოვიდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (ქუთაისი); ხოლო ფილოლოგიის დოქტორი, ასოც. პროფესორი მაია კიკვიძე რიზეს ეწვია შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. მათ მიერ, ჰარუნ ჩიმქესთან ერთად, მომზადდა ოთხწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 2016 წელს რიზემ პირველად იზეიმა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე სტუდენტთა მიღება. ახლა მათ უკვე სამი კურსი ჰყავთ. სტუდენტები

გვ. 14

მილოცვა

ვახტანგ აბაშიძე იუბილარია

2018 წლის 9 სექტემბერს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ გეოფიზიკოსს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო და აკად. მ. ალექსიძის სახელობის პრემიების ლაურეატს, ღირსების ორდენის კავალერს, გეოფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი და ექსპერიმენტული გეოფიზიკის სექტორის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს, პროფესორ ვახტანგ აბაშიძეს. ფასდაუდებელია პროფ. ვ. აბაშიძის სამეცნიერო წვლილი ქართული გეოფიზიკური მეცნიერების საგანძურში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1952-1958 წწ. იგი მუშაობდა ფიზიკის ფაკულტეტის გეოფიზიკის კათედრაზე ჯერ ლაბორანტად, ხოლო 1954 წლიდან ასისტენტად. 1955-1959 წწ. მან იქვე გაიარა ასპირანტურის კურსი მაძიებლად და 1963 წელს ფიზიკის ფაკულტეტის საატესტაციო საბჭოზე დაიცვა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1964-1966 წწ. იგი გეოგრაფ-გეოლოგიის ფაკულტეტზე უფროსი მასწავლებლის რანგში კითხულობდა ლექციების კურსს ძიების გეოფიზიკურ მეთოდებში.

1958 წლიდან ვ. აბაშიძე გადადის სამუშაოდ საქ. მეცნ. აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში, სადაც გაიარა ყველა თანამდებობა უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლიდან მთავარ მეცნიერ-თანამშრომლამდე. 1970-2005 წწ. ინსტიტუტში იგი ხელმძღვანელობდა დედამიწის ქერქის დინამიკის განყოფილებას, რომლის დროს საქართველოს ტერიტორიაზე შეისწავლებოდა სიმძიმის ძალის დროში ვარიაციის საკითხი.

ინსტიტუტში მოსვლის პირველ წლებში იკვლევდა სხვადასხვა სისტემის საველე გრავიმეტრების ტემპერატურულ რეჟიმს, მისივე ხელმძღვანელობით აგებულ თერმულ კამერაში, სადაც ტემპერატურის ცვალებადობა შეიძლებოდა -10 ÷ 50°C ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კამერით სარგებლობდნენ მოსკოველი კოლეგებიც, თავიანთი საველე გრავიმეტრების ტემპერატურული რეჟიმის შესასწავლად. სხვათა შორის ისინი იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ასეთი თერმული კამერა არც იმ ქარხანას ჰქონია, სადაც ეს გრავიმეტრები მზადდებოდა.

1967 წლიდან ვ. აბაშიძე სათავეში ჩაუდგა მდ. ენგურზე მშენებარე თაღოვანი კაშხლის ტერიტორიაზე დახრისმზომით და ექსტენზომეტრიულ სამუშაოებს, რომელთა მიზანი იყო სტაციონარულ პირობებში თვალყური ედევნებინათ იქ მიმდინარე დეფორმაციულ პროცესებზე. განსაკუთრებით კი, მარჯვენა სანაპიროს რღვევაზე, რომელიც გადის კაშხლის მარჯვენა ფრთის ქვეშ და რომლის აქტიურობაზე დიდად არის დამოკიდებული კაშხლის მდგრადობა. 1998 წლიდან დაკვირვებები მიმდინარეობს აგრეთვე კაშხლის ტანშიც. უკვე 50 წელზე მეტია ბატონი ვახტანგი ამ საქმეს შესაშური ენთუზიაზმით ხელმძღვანელობს, რომლის შედეგებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ უნიკალური თაღოვანი კაშხლის უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის.

1995 წელს ვ. აბაშიძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: თანამედროვე გეოდინამიკური პროცესების გეოფიზიკური მონიტორინგი (ენგურჰესის მაგალითზე). დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო აკად. ბ. ბალავაძე, რომელიც ვ. აბაშიძის მასწავლებელიც იყო და რომლის ინიციატივითაც დაიწყო ეს სამუშაოები ენგურზე. ამ გამოკვლევების საფუძველზე, თბილისში 1996 წ., ევროსაბჭომ დააარსა „მაღლივი კაშხლების გეოდინამიკური რისკის ცენტრი“, რომლის დირექტორია აკადემიკოსი თ. ჭელიძე. ვ. აბაშიძე ამ ცენტრის დირექტორის მოადგილეა. ცენტრი მოწოდებულია დანერგოს ენგურზე მიღებული კვლევის შედეგები მსოფლიოს სხვა სახელმწიფოების ანალოგიურ ობიექტებზე. ვ. აბაშიძის ხელმძღვანელობით გეოფიზიკის ინსტიტუტში შესრულებულია ორი

დისერტაცია ფიზ.-მათ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხების მოსაპოვებლად.

წლების განმავლობაში ბატონი ვახტანგი სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას — იყო საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი, სხვადასხვა რანგის სამეცნიერო კონფერენციათა საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, მრავალი საგაზეთო სტატიის ავტორი. მას აქტიური მონაწილეობა მიუღია მრავალ საერთაშორისო თუ ყოფილ საბჭოთა კავშირის ფარგლებში სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში. მისი უშუალო მონაწილეობით ჯერ ენგურჰესზე, 1979 წ. და მერე თბილისში, 2002 წ. ჩატარდა საერთაშორისო კონფერენციები და გამოიცა კონფერენციებზე წარმოდგენილი მოხსენებების შრომათა კრებულები.

1988 წლიდან ვ. აბაშიძე შეთავსებით მუშაობს საქ. ტექნიკურ უნივერსიტეტში. გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის დეპარტამენტში, სადაც კითხულობს გეოდეზიური გრავიმეტრიის თეორიულ კურსს და ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობებს. ამ სპეციალობის სტუდენტებისათვის მან გამოსცა ორი სახელმძღვანელო: „ლაბორატორიული პრაქტიკუმი გეოდეზიურ გრავიმეტრიაში“ (1999 წ.) და „გეოდეზიური გრავიმეტრიის მოკლე კურსი“ (2004 წ.) ამ სპეციალობაში იგი ხელმძღვანელობს მაგისტრანტებს და დოქტორანტებს. ამ დროისათვის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში მისი ხელმძღვანელობით დაცულია 2 დოქტორანტის და 3 მაგისტრანტის სამეცნიერო ხარისხები. 1999 წ. ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მას მიანიჭა პროფესორის წოდება.

ვ. აბაშიძე 150 სამეცნიერო შრომის ავტორია. მათ რიცხვში ორი მონოგრაფიაა რუსულ და ინგლისურ ენებზე. 2000 წ. იგი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, ხოლო უფრო ადრე — 1974 წ. მას მიღებული აქვს მე-9 ხუთწლედში გამარჯვების მედალი, ხოლო 1988 წელს კი თბილისის საქალაქო საბჭოს მიერ შრომის ვეტერანის მედალი. 1994 წ. კოლეგებთან ერთად მას მიღებული აქვს მეცნიერაბაში უმაღლესი ჯილდო საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში — სახელმწიფო პრემია. 2015 წ. მშობლიურმა ხარაგაულმა „ხარაგაულის საპატიო მოქალაქის“ წოდება მიანიჭა. 2017 წ. ვ. აბაშიძე აირჩიეს საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

ვუსურვოთ ბატონ ვახტანგს ჯანმრთელობა და მხნეობა, რომ კიდევ დიდხანს გაახაროს ჩვენი საზოგადოება წარმატებული მოღვაწეობით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი, საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოება

ქართველოლოგიური ჯერები თურქეთში

მე-15 გვ-დან

არიან თურქეთის სხვადასხვა კუთხეებიდან: რიზე, სტამბოლი, ტრაპიზონი, კონია, ერზურუმი და სხვ. წელს ქალბატონები რუსუდანი და მაია დაუბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ უნივერსიტეტებს საქართველოში, რადგან მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც წარმატებულად გაიარეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ისინი კვლავ დაუბრუნდებიან რიზეს ქართველოლოგიის ცენტრს. ამასობაში აქ პრივატდოცენტის თანამდებობაზე მიიღეს და განყოფილების უფროსადაც დანიშნეს ყარსის კავკასიის სახელობის უნივერ-

დუზჯესა და რიზეს უნივერსიტეტის რექტორები და ნანა კაჭარავა

სიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების კურსდამთავრებული გულ მუქერემ სეზგინ-ოზთურქი. მან მაგისტრის ხარისხი მოიპოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო სადოქტორო ქართულ ლიტერატურაში დაიცვა შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პედაგოგთა რიგებს შეემატა აგრეთვე გორის სასწავლო უნივერსიტეტიდან ჩამოსული ნათია მახაჭაშვილი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თვით თურქეთის პრეზიდენტის სურვილი გახლდათ მისი სახელობის უნივერსიტეტში გახსნილიყო ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება.

და ბოლოს, მეოთხე გახლავთ დუზჯე, რომელიც თურქეთის ყველაზე ახალგაზრდა 81-ე ვილაიეთია. იგი 1999 წლის აგვისტო-ნოემბრის ძლიერი მიწისძვრის შემდეგ გამოეყო ბოლუს პროვინციას. დუზჯე არის ჩრდილოეთ კავკასიიდან გადასახლებული ჩერქეზების, ნებით თუ უნებლიეთ ემიგრირებული მუჰაჯირი ქართველების, აფხაზების, ოსების ლოკალურად დასახლების რეგიონი. გაგიკვირდებათ, მაგრამ დღევანდელ დუზჯეში დაახლოებით 24 ენა ისმის. სწორედ ამ მრავალფეროვნებამ განაპირობა დუზჯეს უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კავკასიური ენებისა და კულტურების განყოფილების გახსნა, რომელსაც ორი მიმართულება აქვს: ჩერქეზული ენა და ლიტერატურა და ქართული ენა და ლიტერატურა. ორივე მიმართულება გაიხსნა 2013 წელს და, ალბათ, რეგიონის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დამსახურებაა, რომ პირველივე წელსვე აღმოჩნდნენ ამ მიმართულებებზე სწავლის მსურველნი. უნდა აღინიშნოს, რომ ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის განყოფილება პირველია მთელი თურქეთის მასშტაბით. წელს ქ. კაისერის ერჯიესის უნივერსიტეტში გაიხსნა მეორე, კერძოდ, ყაბარდოული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაც. ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის განყოფილების პედაგოგ-პროფესორები დუზჯეში არიან ადიღეის რესპუბლიკის მაიკოპის უნივერსიტეტიდან ჩამოსული პროფესორები, რომლებიც კარგად იცნობენ საქართველოს კავკასიოლოგიურ სკოლას. მათი უფროსი თაობის წარმომადგენლები მირა ხაჩემიზოვა და მირა უნაროკოვა არიან 70 წელს გადაცილებული, დაფასებული ქალბატონები, რომელთაც თბილისში აქვთ დაცული საკანდიდატო დისერტაციები და არიან ჩვენი კორიფეების — არნოლდ ჩიქობავასა და გიორგი ჩიტაიას მოწაფეები. ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის განყოფილებას მჭიდრო კავშირი აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის კათედრასა (ხელმძღ. პროფ. ცირა ბარამიძე) და ჩერქეზული კულტურის ცენტრთან (ხელმძღ. პროფ. მერაბ ჩუხუა).

დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებას დანარჩენ სამ ქართველოლოგიის ცენტრთან შედარებით ის უპირატესობა გააჩნია, რომ აქვს როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სწავლების ორი საფეხური. აქ პედაგოგები არიან: მაკა სალია ბეშიროღლუ და მისი თანაკურსელი შორენა ლომაია. ორივე ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, რომელთაც სადოქტოროები არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიცვეს; ახლახან ჩამოვიდა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული მარინა სულხანიშვილი, რომელსაც საკანდიდატო დისერტაცია შოთა რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტში აქვს დაცული. აქვე მასწავლებლობს ადგილობრივი, დუზჯელი ეთნიკური ქართველი ფევზი ჩელები, რომელმაც ამ ზაფხულს დაიცვა სადოქტორო ანდრია პირველწოდებულის სახ. საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში თემაზე — „დუზჯელ ეთნიკურ ქართველთა მეტყველების ნიმუშები“. აქვე ვმუშაობ მეც — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფ. ნანა კაჭარავა.

თურქეთში საქართველოს ელჩის, ბატონი ირაკლი კოპლატაძისა და ჩვენი უნივერსიტეტის რექტორის ბატონი გიორგი შარვაშიძის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოხერხდა უნივერსიტეტის 100 წლისთავის იუბილეზე დაპატიჟება ყველა იმ რექტორისა, რომელთა უნივერსიტეტებშიც მოქმედებს ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებები თურქეთში. ამათ დაემატა პრესტიჟული სტამბოლის, ანკარისა და ჰაჯეთეფეს უნივერსიტეტების მოწვევაც. სამწუხაროდ, იუბილეზე თურქეთიდან მხოლოდ ორმა მათგანმა, დუზჯესა და რიზეს უნივერსიტეტების რექტორებმა შეძლეს ჩამოსვლა. იუბილეს დღეებში განახლდა და თავიდან ხელი მოეწერა ხელშეკრულებას დუზჯესა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ.

ვფიქრობთ, რომ ჩვენი უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრამ, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრასთან ერთად, მომავალში მჭიდრო ურთიერთობები უნდა იქონიოს თურქეთის სხვადასხვა ქალაქების უნივერსიტეტებში აღმოცენებულ ქართული ენისა და ლიტერატურის ცენტრებთან.

ასოც. პროფ. **ნანა კაჭარავა**,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თურქოლოგიის კათედრა, დუზჯეს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო-ჰუმანიტარული ფაკულტეტის კავკასიური ენებისა და კულტურების განყოფილება, ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულება

გახსენება

იურისტების ყველა თაობა „კაკოს ეპოქას“ იხსენებს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი პროფესორ აკაკი ლაბარტყავას „კაკოს ეპოქას“ იხსენებს. პროფესორი აკაკი ლაბარტყავა სასოფლო-სამეურნეო და ეკოლოგიური სამართლის მიმართულებით მუშაობდა. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგად შეიქმნა აგრარული და ეკოლოგიური ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მდიდარი ბაზა.

პროფესორი აკაკი ლაბარტყავა 1933 წელს აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში დაიბადა. 1952 წელს სუჯუნის საშუალო სკოლა დაამთავრა და სამი წლის განმავლობაში (1953-1956 წ.წ.) შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა. მომდევნო ორი წელი ფოთის სავაჭრო ნავსადგურში მუშაობდა. 1959 წლიდან 1964 წლის ჩათვლით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახლდათ, შემდეგ კათედრის თანამშრომელი, დოცენტი და პროფესორი. მან 1975 წელს საკანდიდატო, 1994 წელს კი სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. აკაკი ლაბარტყავა ეკოლოგიურ სამართალში გამოცემული ერთ-ერთი პირველი სახელმძღვანელოს ავტორია.

თამარ ზარანდია, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს გამოაკლდა პროფესორი აკაკი ლაბარტყავა, ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება უნივერსიტეტს მიუძღვნა და ბოლო დღემდე იურიდიულ ფაკულტეტზე საქმიანობდა. ბატონ აკაკის მოღვაწეობა, ძირითადად, მოუწია საბჭოთა პერიოდში და იგი მიეკუთვნებოდა იმ მცირერიცხოვან ადამიანთა რიცხვს, რომელმაც მოახერხა გამიჯვნოდა იმდროინდელ მანკიერ სისტემას და დარჩენილიყო მაღალი ზნეობის მქონე პატიოსან ადამიანად. აკაკი ლაბარტყავა წლების მანძილზე შეუცვლელი დეკანის მოადგილე იყო იურიდიულ ფაკულტეტზე და ეს პერიოდი, რომელიც ბევრი იმდროინდელი იურისტის მეხსიერებაში ,,კაკოს ეპოქად შემორჩა, გამოირჩეოდა მის მიერ დამკვიდრებული წესრიგითა და დისციპლინით. მრავალი თაობის იურისტი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს მას, როგორც განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მქონე, უაღრესად შრომისმოყვარე და სტუდენტების მიმართ მკაცრ, მაგრამ მზრუნველ პედაგოგს. ყველა იმ ადამიანისათვის, რომელსაც შეხება ჰქონია ბატონ კაკოსთან, იგი პატიოსნების, შრომისმოყვარეობისა და მაღალი ზნეობის მისაბაძ მაგალითად დარჩება.“

ლადო ჭანტურია, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მოსამართლე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი: „პროფესორი აკაკი ლაბარტყავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, განსაკუთრებით კი, იურიდიული ფაკულტეტის თვალსაჩინო და გამორჩეული წარმომადგენელი იყო. მისი საუნივერსიტეტო ცხოვრება დაიწყო 1959 წლის 1 სექტემბერს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მას გარდაცვალებამდე არ მიუტოვებია. სხვა სამსახური, გარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, ბატონ აკაკის არ ჰქონია და არც უძებნია, თუმცა მრავალი სახელმწიფო დაწესებულება, განსაკუთრებით სამართალდამცავი ორგანოები, მას მაღალ თანამდებობებს სთავაზობდნენ. ბატონმა აკაკიმ მთელი თავისი ცხოვრება იურიდიულ ფაკულტეტს მიუძღვნა. მრავალი თაობის ქართველი იურისტები სიამაყით იხსენებენ ბატონი აკაკის ღვაწლს მათ პროფესიულ დაოსტატებაში. მის მიმართ მოსწავლეების, კოლეგებისა თუ მეგობრების განსაკუთრებული დამოკიდებულება თვალნათლივ გამოჩნდა ბატონი აკაკის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების დროს. ბატონი აკაკი სტუდენტების რისხვა, მაგრამ სტუდენტებზე გამორჩეულად მზრუნველი პედაგოგი იყო. შეიძლება მისი მეთოდები დღევანდელი გადმოსახედიდან მიუღებლად ჩანდეს, მაგრამ დისციპლინა, წესრიგი, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა ბატონი აკაკისთვის წმინდა და ხელუხლებელი ღირებულებები იყო და ამ ღირებულებებს ყავლი არ გასდის. ყველა ადამიანი, მით უფრო საზოგადოება, რომელსაც აქვს პრეტენზია - იყოს წარმატებული და პროგრესული, უნდა ეყრდნობოდეს სწორედ ამ ღირებულებებს — ეს არის ბატონი აკაკის მოღვაწეობის მთავარი გაკვეთილი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ განსაკუთრებული ადამიანისა და პედაგოგის სული. გული მწყდება, რომ თხოვნა ვერ შევუსრულე და ვერ მოვახერხე სუჯუნაში, მის მშობლიურ სკოლაში, მასთან ერთად ჩასვლა“.

რომან შენგელია, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ-ის ემერიტუსი, თსუ-ის კერძო სამართლის კათედრის გამგე, იურიდიული ფაკულტეტის ყოფილი დეკანი: „პროფესორ აკაკი ლაბარტყავას გარდაცვალება დიდი დანაკლისია არა მარტო იურისტთა კორპორაციისათვის, არამედ განათლების მთელი სისტემისათვის. მისი ცხოვრება და ღვაწლი იმის დასტურია, თუ როგორი ერთგულებით, პატიოსნებით და სპეტაკი სიყვარულით უნდა ემსახურო სამშობლოს და სტუდენტი ახალგაზრდობის მაღალკვალიფიციურად აღზრდის საქმეს. იგი სამაგალითო პიროვნება იყო არა მარტო კოლეგებისათვის, არამედ სამართლებრივი განათლების ერთადერთი კერის — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მრავალი თაობის სტუდენტებისათვის. ბატონი აკაკი იყო გამორჩეული მეცნიერ-პედაგოგი და ადმინისტრატორი. როგორც მეცნიერმა, მან თავისი ძალისხმევა მიმართა სასოფლო-სამეურნეო და ეკოლოგიური სამართლის აქტუალური საკითხების კვლევისაკენ. ეს პრობლემატიკა ადრე არაპოპულარულად ითვლებოდა სამართლის სხვა დარგებთან შედარებით, თუმცა უდიდესი მნიშვნელობისა იყო. ამან განაპირობა შესაბამისი კადრების ნაკლებობა. ამ ხარვეზის გამოსწორებას მიუძღვნა მან საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები, აგრეთვე ლექცია-სემინარების მთელი ციკლი. ბატონი აკაკის სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგად შეიქმნა აგრარული და ეკოლოგიური ურთიერთობების, საბაზრო მეურნეობის პირობების შესაბამისი სამართლებრივი რეგულირების მდიდარი ბაზა.

შეიძლება ბატონი აკაკის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის რომელიმე დეტალი ვერ მოექცეს მავანის ყურადღების ცენტრში, მაგრამ ის, რაც ყველაზე სრულყოფილად წარმოაჩენდა მის პიროვნებას, რაც არასდროს დააავიწყდებათ მის კოლეგებსა და სტუდენტობას, ეს ახალგაზრდობის აღზრდის მისეული მეთოდებია. ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გაცდენების მიუღებლობა, საზოგადოებრივი დავალებების ხარისხიანად შესრულების აუცილებლობა, სწავლების პროცესში დისციპლინის დარღვევისადმი შეურიგებლობა და სხვა მოთხოვნები იყო მისი ადმინისტრაციული საქმიანობის განმსაზღვრელი მიმართულებები იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ მუშაობისას. იგი იყო მკაცრი და, ამავე დროს, უაღრესად კეთილგანწყობილი თუნდაც სტუდენტური ეთიკის ნორმების დამრღვევების მიმართ. ასეთი მიდგომა ყოველთვის დადებითი შედეგებით მთავრდებოდა. ამიტომ რჩებოდა ბატონი აკაკი ყველა კურსდამთავრებულისათვის საყვარელ პედაგოგად და აღმზრდელად.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი სული“.

მაია ივანიძე, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი: „ბატონი აკაკი ლაბარტყავასთვის უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო საქმიანობა პირველ ადგილზე იყო. იგი ნახევარ საუკუნეზე მეტხანს მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ყველა თაობის იურისტისთვის მაღალი ზნეობით, პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით მისაბაძი გახლდათ. მისი 80 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში ბატონი აკაკის ცხოვრება და მოღვაწეობა სხვადასხვა თაობის იურისტებმა შემდეგი სიტყვებით შეაფასეს — ჭეშმარიტი მამულიშვილი, პედაგოგი, მეცნიერი.

მართლაც, ბატონი აკაკი თავისი საქმის უზომოდ მოყვარული და გულისხმიერი პიროვნება გახლდათ. იგი სიყვარულით ეწეოდა ისეთ საპატიო საქმიანობას, როგორიც ახალგაზრდა თაობის აღზრდა და მათი ცხოვრების გზაზე დაყენებაა.

როგორც პედაგოგს, ყოველთვის ჰქონდა სტუდენტების სიყვარული და ნდობა. ამას მისი გულწრფელობა, პასუხისმგებლობა და სამართლიანობა განაპირობებდა.

იგი სტუდენტური ცხოვრების სული და გული იყო. თითოეული სტუდენტი მის შინაგან სითბოს შესანიშნავად გრძნობდა და სიყვარულითა და პატივისცემით პასუხობდა. იგი გასაოცარი მონდომებით გადასცემდა სტუდენტებს ცოდნასა და გამოცდილებას.

მისთვის დამახასიათებელი იყო ხალასი იუმორი და კეთილშობილი ბუნება. ამ თვისებების გამო მას კოლეგები ძალიან ვაფასებდით.

გული მწყდება, რომ უნივერსიტეტში ვეღარ შევხვდები ღირსეულ პედაგოგს, მეცნიერს, სამაგალითო პიროვნებას. ასეთი მოღვაწეები ქმნიან სახეს, სახეს — ნამდვილი პროფესორისა“.

„წრე ლისზე – ოკუპაციური თერაპიის მხარდასაჭერად“

ოკუპაციური თერაპიის მხარდასაჭერად 70-მდე მონაწილემ შემოურბინა ლისის ტბას. აქცია „წრე ლისზე — ოკუპაციური თერაპიის მხარდასაჭერად“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოკუპაციური თერაპიის მიმართულების და საქართველოს ოკუპაციურ თერაპევტთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა.

გარბენი, რომლის მიზანი ქვეყანაში ოკუპაციური თერაპიის პროფესიის მიმართ ცნობადობის ამაღლება და დარგის პოპულარიზაცია იყო, ოკუპაციური თერაპიის მსოფლიო დღის აღსანიშნავად მოეწყო. ოკუპაციური თერაპევტები ადამიანისთვის მნიშვნელოვან საქმიანობებს თერაპიულ საშუალებად იყენებენ. ოკუპაციური თერაპია პიროვნებაზე ცენტრირებული პროფესიაა, რომელიც ხელს უწყობს განსხვავებული შესაძლებლობის მქონე პირებს, ანდა მოწყვლად ჯგუფებს, ჩაებნენ მათთვის მნიშვნელოვან საქმიანობებში და მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზება.

„გადავწყვიტეთ ეს დღე აღგვენიშნა გარბენით, რომელშიც ნებისმიერი მსურველი მიიღებდა მონაწილეობას. ზოგი დარბოდა იმიტომ, რომ მათი ცხოვრების სტილია, ზოგისთვის გამოწვევა იყო, ზოგიც გასართობად. აქციის მიზანია, რომ მეტმა ახალგაზრდამ გაიგოს — რა არის ოკუპაციური თერაპია და გაიცნოს ახალი საინტერესო პროფესია“, — განაცხადა თსუ-ის ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორმა ნინო რუხაძემ.

„დიდი ხანია სისტემატურად დავრბივარ. ჩემთვის სირბილი არის გამოწვევა, რადგან ის ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას უწყობს ხელს.

მინდა ყველა ახალგაზრდას მოვუწოდო, რომ ირბინონ და ჯანსაღი ცხოვრება გაითავისონ“, — აღნიშნა გარბენის მონაწილემ ლუკა ჯავახიშვილმა.

საქართველოში დიპლომირებული ოკუპაციური თერაპევტები მხოლოდ თსუ-ის კურსდამთავრებულნი არიან. ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამა თსუ-ში 2006 წლიდან მოქმედებს. დღეს მთელ საქართველოში სულ 31 დიპლომირებული ოკუპაციური თერაპევტია. ღონისძიების ორგანიზატორთა თქმით, აქციის მიზანია გაიზარდოს ოკუპაციურ თერაპევტთა რაოდენობა, რაც ქვეყნის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

ოკუპაციური თერაპევტები ეხმარებიან ადამიანებს, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ ახორციელებენ მათთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საქმიანობას. სიტყვა „occupation“ ინგლისურიდან ითარგმნება როგორც „საქმიანობა“. ლისის ტბის გარშემო გამართულ გარბენში სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე პირებმა მიიღეს მონაწილეობა. აქციის მონაწილეები დაჯილდოვდნენ მედლებითა და სიგელებით.

ᲛᲐᲚᲚᲔ ᲘᲡᲔᲕ ᲬᲐᲕᲐ ᲛᲗᲐᲨᲘ...

ᲨᲝᲗᲐ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲘᲔᲠᲨᲘ

„Შოთა მირიანაშვილი 2014 წელს ალპინიადაზე გავიცანი, გუდამაყარში. მაშინ მეც დამწყები მოლაშქრე ვიყავი. მახსოვს, დილით ბანაკში ბავშვებს თავისი ხელით უსწორებდა კარვებს. საოცარი ადამიანია, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“, — მიყვება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ეკოლოგი რატი გელაშვილი.

თუ თსუ-ის II კორპუსის პირველ სართულს ქვემოთ ჩაუყვებით, ფიზიკის ლაბორატორიების გვერდით 138-ე კაბინეტში აუცილებლად დაგხვდებათ შოთა მირიანაშვილი — ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც წლების განმავლობაში თსუ-ის ალპინისტურ კლუბს ხელმძღვანელობდა და 82 წლის ასაკშიც მთის სიყვარულით ცოცხლობს. თსუ-ის გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპური კლუბის პრეზიდენტი; საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ტრავერსების კლასში; 1960-70 წლებში საქართველოს მთამსვლელთა ნაკრების კაპიტანი და მწვრთნელი; საერთაშორისო მასშტაბით რამდენიმე ათეულზე მეტი ექსტრაკლასის მარშრუტის ავტორი; 100-ზე მეტი ალპინიადის ხელმძღვანელი — ეს მისი, როგორც მთამსვლელის „მონაგარია“, ხოლო უშბა, თეთნულდი, შხარა, აილამა, მაზერი, ჯანღა, წურუნგულა, ტიან-შანისა და პამირის მასივი... — მის მიერ დალაშქრული მწვერვალების არასრული ჩამონათვალია.

ჩვენი შეხვედრის დროს შოთა მირიანაშვილი 2 კვირის დაბრუნებული იყო ხდის ხეობიდან, სადაც თსუ-ის ალპურმა კლუბმა 3600 მეტრი სიმაღლის მწვერვალს ჟიული შარტავას სახელი მიანიჭა.

„სოფელ ახალსოფელში დავიბადე“, — მიამბობს ბატონი შოთა, — „მამა ადრე გარდაიცვალა. გარკვეული პერიოდი სოფელ შილდაში ბებიასთან და ბაბუასთან ვიზრდებოდი, შემდეგ ქალაქში წამოვედით მე და დედა. თბილისის ვაჟთა მეექვსე სკოლა დავამთავრე და ბევრი არც მიფიქრია — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჩემს ბიძაშვილს გოგი ოთარაშვილს ალპინიადაზე ყაზბეგში მოუწია წასვლა. იქიდან დაბრუნებული კი მთაზე საოცარი ემოციებით საუბრობდა. ამან ისე ამაფორიაქა, მთელი წელი ველოდებოდი ზაფხულის სეზონის დადგომას და უნივერსიტეტის მორიგ ალპინიადას.

პირველად 1953 წელს წავედი მთაში. მაშინ 17 წლის ვიყავი. უნივერსიტეტის რექტორი ნიკო კეცხოველი იყო. ყელის ტბის სათავეებთან ავედით და ერთ-ერთ მწვერვალს „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ დავარქვით. შემდეგ მდინარე თერგის სათავეებში გადავედით. ამ ექსპედიციის დროს ნიკო კეცხოველთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჩამომიყალიბდა.

პირველად ჯგუფის ხელმძღვანელობა მწვერვალ „შტავლერზე“ ასვლის დროს მომიწია. მახსოვს, ნისლი იყო. ვიცოდი, რომ ამ გზიდან ცნობილი ქართველი მთამსვლელი ალიოშა ჯაფარიძე სამჯერ მობრუნდა. ძალიან



ვნერვიულობდი, მაგრამ მაინც მშვიდობით ავიყვანე გუნდი მწვერვალზე. სწორედ ამ პერიოდში ალპინიადების დროს გავიცანი მთის ბევრი ჩემი მეწყვილე და შემდეგში მეგობარი. აქ იყო გურამ თიკანაძე — არაჩვეულებრივი ადამიანი და ხელოვანი. სხვათა შორის, 1963 წელს შხარადან მის ჩამოსვენებაშიც ვიღებდი მონაწილეობას. გურამ რჩეულიშვილიც ჩემი ახლობელი იყო. ჩვენ ერთად ავედით დონღუზ-ორუნზე და როგორც შემდეგ აღმოვაჩინე, მის ნოველაში „ასვლა“ ერთ-ერთი პერსონაჟის პროტოტიპი მეც ვარ. თუმცა ამ ექსპედიციაში ჩემი და გურამის აღქმა დიამეტრულად განსხვავებულია და ერთსა და იმავე მოვლენებსა და ფაქტებს სხვაგვარ შეფასებას ვაძლევთ“.

— გვიამბეთ ყველაზე რთული მარშრუტების შესახებ...

— 1979 წელს პამირში 6800-მეტრიან მწვერვალზე ავდიოდით. ძალიან რთული აღმოჩნდა, ბევრი ვიწვალეთ, მაგრამ მაინც ავედით. დაშვების დროს 45-მეტრიან ყინულის ვერტიკალზე მოგვიწია გაჩერება. პალოებს ვხსნიდით, როცა მოულოდნელად გუნდის ერთ-ერთმა წევრმა გონება დაკარგა და სამი კაცი ერთად მოვწყდით. სასწაულია, რომ გადავრჩით, თოვლის ნამქერში ჩავცვივდით და ამან გადაგვარჩინა.

მძიმედ მახსენდება 1959 წელს ტიან-შანზე გასვლაც. გამარჯვების პიკის დალაშქვრა გადავწყვიტეთ. ახალი გზაც მოვამზადეთ, მაგრამ იმ პერიოდში მთაზე შუა აზიის სამხედრო ოლქის ნაკრები იმყოფებოდა. ავარია შეემთხვათ და მათ დასახმარებლად წავედით, მაშინ 3 ადამიანი დაიღუპა.

მთაში ძირითადად ახალი მარშრუტების გაკვალვაზე ვიყავით ორიენტირებული. ასე ავედით „ცალგმირზე“. მწვერვალ მაზერის დასავლეთ წვერზე არავინ იყო ნამყოფი, როცა მე და ირაკლი ბაქრაძემ აქედან დაშვება გადავწყვიტეთ. დაგვაღამდა. ვიფიქრეთ, ე.წ. გლისერით — თოვლზე დაცურებით დავშვებულიყავით. 3900 მეტრზე ვართ. მომეჩვენა, რომ კლდეები იწყება. წერაყინით თოვლი გავსინჯეთ, საეჭვო არაფერი ეტყობოდა. თურმე წერაყინი ნაპრალებში მოხვდა და სინამდვილეში კლდეზე ვართ, რომელზეც მხოლოდ 10 სანტიმეტრიანი თოვლია. დავცურდი, წერაყინი გამივარდა და ირაკლიც მოვწყვიტე. გონს რომ მოვედი, ისევ მივსრიალებდი ყინულის კულუარში, რომელიც უზარმაზარი ლოდით იყო ჩაკეტილი. შემთხვევით გაჩერება მოვახერხე და ნაზვავებ თოვლში ჩავვარდი. ირაკლისაც იგივე დაემართა. ვერ ვიჯერებდით, რომ გადავრჩით — აღმოჩნდა, რომ 2 კილომეტრის სიგრძეზე ვერტიკალურად თოვლზე „ვიფრინეთ“. სასწაული იყო.

სამოცამდე ქართველია მთებში დაღუპული. წინასწარ არასდროს იცი, რა მოხდება. 1980 წელს მწვერვალ „რასიაზე“ 4 კაციანი ექსპედიცია ადიოდა, მე მეორე მწვერვალიდან ვაკვირდებოდი მათ გადაადგილებას, მეორე ღამეს ისინი საბანაკეზე ვეღარ შევამჩნიე. სასწრაფოდ უკან დავბრუნდით, მაგრამ მარშრუტის ძირში სამივე დაღუპული დაგვხვდა. გუნდის მეოთხე წევრის სხეულიც ვერ იპოვეს. დღემდე ბევრი რამ დარდად მაწევს და არის რაღაცები, რაც ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის.

— 65 წელია მთაში ხართ. რა არის ყველაზე რთული ალპინიზმში?

— რეალურად ალპინიზმი ბუნებასთან პაექრობაა. სპორტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ბუნება შეცდომებს არ გპატიობს. ძალიან კარგად უნდა იცნობდე როგორც საკუთარ თავს, ისე შენს მეწყვილეს, რომელიც მთაში გვერდით გიდგას. შეიძლება ზოგჯერ ისეთ კომპრომისზე მოგიწიოს წასვლა, რომელსაც სხვა დროს ვერ გაბედავდი. მთელი ცხოვრება ჭეშმარიტ ალპინისტად მაინც ის მთამსვლელი მიმაჩნია, რომელმაც საკუთარი ბილიკები დატოვა მწვერვალებზე და რომელსაც სხვების გაკვალული გზებით არ უვლია.

ქართველ მთამსვლელთა თაობის 75% თსუ-ის ალპურ კლუბშია გაზრდილი. წელიწადში 4 ალპინიადას ვატარებთ. მთელი ამ წლების მანძილზე 20 ათასზე მეტი სტუდენტი წავიყვანე მთაში, რაც ჩემი ცხოვრების მთავარ მიღწევად მიმაჩნია. მწვერვალის დაპყრობის შემდეგ ბევრს ბარშიც შევხვედრივარ და ხშირად უთქვამთ, რომ მწვერვალზე ასვლის ემოცია ყველაზე ძლიერი ემოცია იყო მათ ცხოვრებაში, როცა საკუთარ სამშობლოს მთის წვერიდან უყურებდნენ. ამ გზით ადამიანს თავისი ქვეყანა სხვანაირად უყვარდება. მთელი გზა მწვერვალამდე ფსიქოლოგიურად გცვლის და ახალ ნიშანს გაპოვნინებს საკუთარ თავში“.

შეხვედრის დასასრულ, ბატონი შოთას მეგობრები და ფიზიკოსები შემოგვიერთდნენ. მითხრეს, რომ ყველაფერთან ერთად შოთა მირიანაშვილი არაჩვეულებრივი ლექტორი, მეცნიერი და ფოტოგრაფიცაა. სამუშაო მაგიდის გვერდით მთის ჩანთები ეწყო, კედელზე რკინის კარაბინები და პალოები დაემაგრებინა. დამშვიდობებამდე, სანამ კითხვას დავუსვამდი, მითხრა, რომ ბევრი გეგმა აქვს. დიდ ქართველ მთამსვლელს ალიოშა ჯაფარიძესა და გიორგი ნიკოლაძეს თავისი სახელობის მწვერვალები არ აქვთ და ამ საქმეს უნდა მივხედოო.

ვიცი, რომ შოთა მირიანაშვილს არასდროს უფიქრია მწვერვალების მიტოვებაზე და მალე ისევ წავა მთაში.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔ,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ნინო კაკულია
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ
მაია ტორაძე
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მანანა ჯურხაძე

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ
ანა ბოლქვაძე
ᲙᲝᲛᲞ. ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ
ზაზა გულაშვილი

ᲠᲔᲓᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ:
იაგო კაჭკაჭიშვილი,
მანანა შამილიშვილი,
თინათინ მარგალიტაძე,
თინათინ ბოლქვაძე,
ეთერ ხარაიშვილი,
რევაზ გველესიანი,
ირაკლი იმედაძე,
გიორგი ჯაიანი,
თემურ ნადარეიშვილი,
მორის შალიკაშვილი,
მაია ივანიძე,
ვლადიმერ მარგველაშვილი,
გიორგი ლობჟანიძე,
ეკა კვიტაშვილი

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62

ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲘ:
newspaper.tsu.edu.ge

ᲔᲚ.ᲤᲝᲡᲢᲐ:
tsunewspaper@tsu.ge

2017 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ „ᲣᲜᲘ-ᲕᲔᲠᲡᲘᲐ“ ᲒᲐᲓᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲔᲑᲨᲘ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ (ᲗᲡᲣ-ᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ).